სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 10 სექტემბერი | 1993 № 12 (59) | ფასი 145 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ოჩამჩირის დაბომბილ სტადიონზე
„სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი

4 მონაკო საფრანგეთი არ არის
მარსელს მონაკო შეცვლის

5 „ვესტა“ — „შევარდენი“

ბენდიაშვილი მზადაა

5 ამერიკელი ქალების ფიასკო

ფლორიდელი „ტყისმჭრელიც“ დამარცხდა

8 მორიგი წყლის ნაყვა მოროტუაში

კრიკეტის ამბები

როდის ითამაშებს „დინამო“ ჩემპიონთა თასზე?

ამ კითხვის პასუხი, რომელსაც მთელი საქართველო ელოდა, გუშინ შუაღამისას უცნობი იყო

სამშაბათი

ჩვენთვის ძალიან ძნელია ამ სტრიქონების წერა, რადგან პარასკევს, როდესაც გაზეთი მკითხველს მიუვა, მას უკვე ეცოდინება უეფა-ს სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება, ჩვენ კი ჯერ ისიც არ ვიცით, როდის გამოცხადდება კომიტეტის განაჩენი — ხუთშაბათს საღამოს თუ პარასკევს დილით. ამიტომ მოვლენებს კვლავ ქრონოლოგიურად მივყვეთ.

დილით მივიღეთ ცნობა, რომ სააპელაციო კომიტეტის სხდომა 11 სექტემბრიდან 9 სექტემბრისთვის გადმოიტანეს.

რედაქციაში მოვიდნენ „ბანი და კომპანიის“ წარმომადგენელი ვაჟა ნინუა, საქართველოს მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი ავთო კოკაია და მისი მოადგილე რევაზ მგელაძე. ავთო კოკაიამ განაცხადა, რომ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მას არ უთქვამს, რომ მსაჯებს მოსკოვში სასტუმროს ფულის გადახდა არ მოუთხოვიათ. „მე ვთქვი, რომ მსაჯებმა ჩვენგან მოითხოვეს სასტუმრო „რედისონში“ ფულის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში უკან წასვლით იმუქრებოდნენ“ — თქვა კოკაიამ.

დილიდან არ წყდება რედაქციის ტელეფონის ზარი — ზოგს რა აინტერესებს ამ საქმის შესახებ, ზოგსაც — რა. ბევრი მკითხველი დაინტერესდა „სარბიელის“ წინა ნომრის სტატიაში „ქრთამი თუ შეთქმულება“ გამოთქმული ფრაზით — „რამდენიც იტალიურ კლუბებს ვინმესთვის რაიმე უჩუქებიათ“ და გვთხოვა, უფრო დაწვრილებით შევხებოდით ამ თემას.

...1978 წლის ნოემბერში უეფამ 25 ათასი შვეიცარული ფრანკით დააჯარიმა საფეხბურთო კლუბი „მილანი“ მსაჯებისთვის საჩუქრების გადაცემისთვის. ეს იყო პირველი სასჯელი, რომელიც უეფამ ამგვარი საქციელისთვის გამოიყენა. არადა, „მილანს“ ვერავინ ვერაფერს დაუმტკიცებდა, რომ არა იტალიური პრესა. მათთვის ცნობილი გახდა, რომ უეფას თასის მატჩის („მილანი“ — „ლევსკი სპარტაკი“) წინ შეხვედრის არბიტრები — შოტლანდიელები ჯონ გორდონი, როლო კაილი და ჯონ მაკკარტნი მილანის ერთ-ერთ მაღაზიას ესტუმრნენ და პალსტუხებისა და პულოვერების ყიდვა გადაწყვიტეს, რაც შეასრულეს კიდეც, ოღონდ... ფული „მილანის“ წარმომადგენელმა გადაიხადა. ამბავი მალე გახმაურდა და მართალია, თანხა სულ 588 დოლარს შეადგენდა, მსაჯები სასამი წლით იქნენ დისკვალიფიცირებული. იტალიელები ყველაფერს თავის სტუმართმოყვარეობას აბრალებდნენ. როგორც „მილანის“ მაშინდელი პრეზიდენტი ფელიჩე კოლომბო ამბობდა, მაღაზიის გამყიდველებმა უარი თქვეს ინგლისური გირვანქების მიღებაზე და „მილანის“ წარმომადგენელიც იძულებული გამხდარა 500 000 ლირა გადაეხადა მსაჯების მაგივრად. კოლომბოს, რა თქმა უნდა, არავინ დაუჯერა და „მილანმა“ სასჯელი მიიღო.

ამ ფაქტმა მთელი ევროპის საფეხბურთო პრესა აალაპარაკა. ყველა აღიარებდა, რომ მსაჯებისთვის რაღაც-რაღაც საჩუქრების მიცემა იტალიური კლუბებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. უბრალოდ, „მილანი“ პირველი „ჩავარდა“. გაზეთები იხსენებდნენ 1973 წლის ამბავს, როცა სოლტი ცდილობდა პორტუგალიელი მსაჯის ლობოს მოსყიდვას, მაგრამ მსაჯმა წინა-დადება უარყო და თან საუბარი მაგნიტოფონზე ჩაინერა. „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ბონიპერტიმ იმწუთას განაცხადა — სოლტის არ ვიცნობო, მაგრამ გაზეთებში გამოქვეყნებულ დოკუმენტებს იმაზე, რომ სოლტი ოფიციალურად „იუვენტუსის“ შტატში ირიცხებოდა, ვერსად გაექცა. მაშინ უეფამ თვალი დახუჭა ამ დოკუმენტებზე და მხოლოდ სოლტი დასაჯა მისი პერსონა ნონ გრატად გამოცხადებით.

გაიხსენეს 1976 წლის უეფას თასზე „მილანისა“ და ბუქარესტის „დინამოს“ გვერდითი მსაჯი, შოტლანდიელი ბილი რეიდი. მას იმდროისთვის (1978) მსაჯობისთვის უკვე თავი პქონდა დანებებული და აღარ დამალა რომ „მილანისაგან“ თამაშის წინ „ბევრი ძვირფასი საჩუქარი მიიღო“. ჟურნალისტები იმასაც წერდნენ, რომ ასეთი „პრაქტიკა“ მადრიდის „რეალს“ და ბრიუსელის „ანდერლეხტშიც“ არისო.

1984 წელს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში იტალიის „რომა“ სტუმრად დამარცხდა შოტლანდიის „დანდი იუნაიტედთან“ 0:2, განმეორებითი კი შინ 3:0 მოიგო. სწორედ განმეორებითი მატჩის შემდეგ ატეხა პრესამ განგაში, მსაჯმა ქრთამი აიღოო, მაგრამ მსაჯი ამას უარყოფდა და უეფამაც ვერაფერი დაამტკიცა.

ეს ფაქტები იმიტომ არ მოგვიყვანია, თითქოს ვამტკიცებდეთ, მარტო ეს შემთხვევები იყო მსაჯების „პატივისცემისო“, არც ჩვენი „დინამოს“ ამბავთან ვატარებთ პარალელს — აქ ჯერ კიდევ უცნობია, ვინ არის მართალი. ეს „ტრადიცია“, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებისაგან მსაჯებს მხოლოდ კლუბის ვიმპელისა და სამკერდე ნიშნის აღების უფლება აქვთ, მთელ ევროპაშია გავრცელებული. ამას არც ყოფილი საბჭოთა გუნდებიც „თაკილობდნენ“. უბრალოდ, ეს ის ფაქტებია, როცა უეფამ რაღაც გადაწყვეტილებები მიიღო.

წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო და ჩვენც დავინტერესდით, თუ როდის შეუცვლია სააპელაციო კომიტეტს უეფას დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილება. პირველი ასეთი შემთხვევა 1984 წელს მოხდა, როცა სააპელაციო კომიტეტმა გააუქმა დისციპლინარულის გადაწყვეტილება ძალაში დაეტოვებინა „სელტიკ“ — „რაპიდის“ ანგარიში 3:0 („რაპიდი“ ჩიოდა, ჩემს მოთამაშეს თავში ბოთლი მოარტყესო) და მატჩი ნეიტრალურ მინდორზე გადაათამაშებინა...

ნაშუადღევს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ კახი ასათიანს ორსაათიანი საუბარი პქონია ლენარტ იუპანსონთან და უეფას სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე რენე ებერლესთან. ასათიანს აპელაციაზე დასწრების უფლება მისცეს. ესეც იმედის ნაპერწკალია.

ოთხშაბათი

თბილისი-პრაღის რეისით გაფრინდნენ „დინამოსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც შემდეგ შვეიცარიაში ჩავლენ.

ხუთშაბათი

„ფრანს პრესმა“ გაავრცელა ცნობა, რომ სააპელაციო კომიტეტის სხდომა დღეს 6 საათზე გაიმართება, მისი გადაწყვეტილება კი პარასკევს დილით გამოქვეყნდებაო. ამიტომაც არ ვიცით, დღესვე მივიღებთ ცნობას თუ ხვალ დილით...

«მარსელმა» სასამართლოში იჩივლა

შვეიცარიიდან თბილისის „დინამოს“ განაჩენს ველოდით, როდესაც ბი-ბი-სის ღამის საინფორმაციო გამოშვებიდან შევიტყვეთ: ბერნის სასამართლომ, რომელსაც მარსელის „ოლიმპიკმა“ უეფა-ს წინააღმდეგ საჩივრით მიმართა, შეაჩერა ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილება ფრანგული კლუბის ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან გაძევების შესახებ. ამ ინფორმაციამ აღაფრთოვანა მარსელის ველოდრომზე შეკრებილი ათეულ ათასობით გულშემატკივარი, რომელთა წინაშეც კლუბის პრეზიდენტი ბერნარ ტაპი გამოვიდა. თავად უეფა-ს აქვს ათი დღის ვადა, რათა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უფრო მაღალ ინსტანციაში გაასაჩივროს. ათი დღის შემდეგ 19 სექტემბერია, თასის გათამაშება კი 15-ში უნდა დაიწყოს. ამ არეულობას ემატება ისიც, რომ ფიფა-ს კანონის თანახმად, თუ რომელიმე ქვეყნის კლუბი ან ფეხბურთის ფედერაცია მის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს, იგი უნდა გაირიცხოს ფიფა-დან. ასე, რომ როგორც ჩანს, მსოფლიოს ფეხბურთის მესვეურები კონტრშეტევას ახლა საფრანგეთის ნაკრების მიმართ განახორციელებენ.

მარადონა «ძველ ბიჭებში» გაერია

არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას ახალი კლუბია „ნიუელს ოლდ ბოისი“ („ძველი ბიჭები“). ეს ცნობა წუხელ გადმოსცეს საინფორმაციო სააგენტოებმა. არგენტინის ქალაქ როსარიოს კლუბი მარადონას კარიერაში მეექვსეა „არგენტინოს ხუნიორსის“, „ბოკა ხუნიორსის“, „ბარსელონის“, „ნაპოლისა“ და „სევილიის“ შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთი

გამოტოვებული მატჩი

მარგვეთი	7
მრეტები	0

ზესტაფონი, ცენტრალური სტადიონი
3 სექტემბერი

მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გაბრიჭიძე, გიგატაძე, ღონღაძე, ნიქარიშვილი (ლანჩავა, 85), გიორგაძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, სუხიაშვილი (გურიელიძე, 46), შენგელია.

[illegible]ტები: ჯანელიძე, ქვარცხავა, ირემაშვილი, ამბიძე, ბახტაძე, ბურდული (მოსულიშვილი, 20), თეთრაული, ძაბირაძე, ჩუხუა, იაგორაშვილი, გელაძე (ჯუღელი, 46).

1:0 მეგრელაძე (7)
2:0 სუხიაშვილი (10)
3:0 მეგრელაძე (22)
4:0 მეგრელაძე (44)
5:0 მეგრელაძე (45)
6:0 ხუნდაძე (57)
7:0 მეგრელაძე (89)

გაფრთხილება: გიორგაძე, ჩუხუა.
მსაჯი: ა. ნერეთელი (ქიათურა)

VIII ტური

მეტალურგი	1
ერქვანი	2

[illegible]ი, სტადიონი „მეტალურგი"
6 სექტემბერი

[illegible]: ქორიძე, ქართველიშვილი, ბურნაძე, ჩოჩიევი, გახოკიძე, ვ. კილასონია, არსოშვილი, გ. კილასონია, მა[illegible]ავარიანი (ამბიძე, 70), მეტრეველი, [illegible]ური.

[illegible]: [illegible]ერკელიშვილი, შალამბერიძე, [illegible] გეგეშიძე (ჩიბაშვილი, 46), [illegible], დოლიძე, ინიაშვილი, [illegible]ვილი, მოსიკაშვილი, თაბუკა[illegible]. მეტრეველი.

0:1 გაგნიძე (41)
1:1 ვ. კილასონია (47)
1:2 ჩიბაშვილი (60)

[illegible]: ვ. კილასონია, მეტრეველი
[illegible] [illegible]ლაკაძე (თბილისი)

[illegible]ოლ[illegible]	1
[illegible]ნავი	4

[illegible]ორი, ცენტრალური სტადიონი.
6 სექ[illegible]ტემბერი

[illegible]ოლკოვი, [illegible]ალაშვილი, ცხადაძე, [illegible]ძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, [illegible]აშვილი, მიქელაძე (რევაზიშვილი, [illegible]ტაბატაძე (წკრიალაშვილი, 46), [illegible]გუაშვილი, მინდიაშვილი.

[illegible]: ჩხეიძე (გ[illegible]ამაძე, 80), ბერაძე, [illegible]ქვანი, ქვ[illegible], ლობჟანიძე, რე[illegible]ეშვილ[illegible]არველაძე, ნემსაძე (სოლ[illegible]ალაკილი, [illegible]9), [illegible]ერველაძე, კიკნაძე, ხუჯაძე.

0:1 ნემსაძე (30)
0:2 [illegible]ერველაძე (35)
0:3 ნემსაძე (45)
1:3 წკრიალაშვილი (46)
1:4 რ. ერველაძე (75)

[illegible]ლტი ვერ გაიტანა მარეხაშვილმა (15)

[illegible]ი: გ. მიქაუტაძე ([illegible]თ[illegible]ისი)

[illegible]ერია	1
[illegible]ოვნელა	0

[illegible]ური, ცენტრალური სტადიონი.
6 სექტემბერი

ი[illegible]ერია: ტოგონიძე, ჯიკავი, მჭედლიშვილი, ბ. [illegible]ელი, სამხარაძე, ხარაზიშვილი, [illegible] (ტყემალაძე, 60), გ. [illegible]ელი (ტარიელაშვილი, 46), მარღიშვილი, ჭობელაშვილი, ბაკურაძე.

[illegible]ოვნელა: [illegible]ძე, ბებიაშვილი, გენაძე, ხვარეშია ([illegible]ორიშვილი, 74), ძიძიშვილი, [illegible], ბრეგაძე, ქურცაძე, [illegible]ძიშვილი (გურაბანიძე, 64), ჭ[illegible]ბაძე, [illegible]ძე.

1:0 მ[illegible]ლიშვილი (67)

[illegible]ალტი ვერ გ[illegible]ა მარღიშვილმა.
[illegible]ი: [illegible]ანიძე (თბილისი)

მრეტები	1
მალაროელი	4

[illegible] თბილისი, ავლაბრ[illegible]ადიონი
6 სექტემბერ[illegible]

მრეტები: ჯანელიძე, [illegible]ია, ქორიძე, ირემაშვილი, [illegible]ული, მო[illegible]ოლიშვილი (გ[illegible]8), ამბიძე, თეთრაული, [illegible], ბახტაძე (ჯუღელი, 46).

მალაროელი: ხელაძე, [illegible]ელი, ლურსმანაშვილი, [illegible]ეშვილი, აბრამიშვილი, ბრეგვაძე ([illegible]ოროიძე, 80), დადუნაშვილი, [illegible], ნიკლაური, ბურძგნიძე (მნ[illegible]ეშვილ[illegible], 75).

[illegible]ოლები: თეთრაული; თამაზაშვილი, ნიკ[illegible]ლაური-2, მნ[illegible]ეშვილი

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

[illegible]ასპინძი	4
ქუთაისი 1906	1

თელავი, [illegible] ნოხელის სტადიონი
6 სექ[illegible]ტემბერი

[illegible]: გრიშიკა[illegible]ელი, [illegible]ხორხელი, კა[illegible]ტაძე, სანადირაძე, ნიკ[illegible]ერიშვილი, ჭვ[illegible]ტიძე, ს[illegible]ეშვილი, [illegible]ორხელი, ალა[illegible] (დემეტრაძე), კვარაცხ[illegible]ელია, შონია
შევა[illegible]ნი: ნაჭყებია, კ[illegible]ტიანი, შურ[illegible]ლაია (ჯიქია, 75), მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე (ელიაშვილი, 30), ქონლაძე, გოგიჩაიშვილი, ფანცულაია, ხურცილავა.

0:1 ნადირაძე (21)
1:1 სეფაშვილი (26)
2:1 სანადირაძე (37)
3:1 კვარაცხელია (64)
4:1 სეფაშვილი (82)

გაძევება: ხურცილავა (60)
მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

დინამო	5	5	0	0	23-8	15
მალაროელი	7	4	1	2	13-9	13
მარგვეთი	6	3	1	2	14-10	10
კახეთი	5	3	1	1	9-5	10
შევარდენი 1906	6	3	0	3	14-13	9
ივერია	6	2	2	2	7-7	8
ერქვანი	6	2	2	2	11-13	8
საპოვნელა	7	2	1	4	8-9	7
დილა	6	2	0	4	6-12	6
მრეტები	4	1	0	3	2-13	3
მეტალურგი	6	1	0	5	5-18	3

დღეს, VIII ტურში თამაშობენ: საპოვნელა — მრეტები, დინამო — ივერია, შევარდენი 1906 — დილა, ერქვანი — კახეთი, მარგვეთი — მეტალურგი

დასავლეთი

გამოტოვებული მატჩი

შუქურა	2
ბათუმი	1

ქობულეთი, ცენტრალური სტადიონი
3 სექტემბერი

შუქურა: ბერაძე, გვიანიძე (გორგილაძე, 85), ჭელიძე, კანდელაკი, კაკუბავა, ბერიძე, ნიკლაური, ღონღაძე, გვასალია, ამბიძე, ხურციძე (ღლონტი, 75).

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, გეთია, შეფილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ყულეჯიშვილი (სიხარულიძე, 75), ტულუში, მუჯირი.

1:0 ამბიძე (38)
1:1 მაჭუტაძე (60)
2:1 ამბიძე (81 პ)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

VII ტური

ბათუმი	1
კოლხეთი 1913	1

ბათუმი, სტადიონი „დინამო"
6 სექტემბერი

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, მუჯირი (გეთია, 75), შეფილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი (ყულეჯიშვილი, 46), ტულუში, კანტიძე.

კოლხეთი 1913: დეკაძე, თიბილაშვილი, კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნელია, ცომაია, მიქაბერიძე, დ. მახარაძე (ტორჩინავა, 80), ჯულელი (გოროზია, 60), დარასელია, ჩხაიძე.

1:0 მაჭუტაძე (28)
1:1 დ. მახარაძე (31)

[illegible]ენიშვნა: ტულუში, თიბილაშვილი
[illegible]ჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

გურია	4
ტორპედო	0

ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი
6 სექტემბერი

გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე (დოლბაია, 46), დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, კორღალიძე, გოგოლაძე (იმნაძე, 70), გამცემლიძე.

ტორპედო: კახიძე, ნოზაძე, ჩხაბერიძე, სადღიანი, ხართიშვილი, დიდავა, ვოსკანოვი (ვაჩიბერაძე, 60), გიორგობიანი (ჯინჭარაძე, 65), მაღლაკელიძე, ხუჭუა, კვეტენაძე.

1:0 გამცემლიძე (4)
2:0 გოგოლაძე (35)
3:0 ნარიაშვილი (38)
4:0 გოგოლაძე (59)

მზიური	2
ამირანი	2

გალი, ცენტრალური სტადიონი
6 სექტემბერი

1:0 ჩხეტია (23)
1:1 გაბისონია (60)
1:2 ჯოჯუა (86)
2:2 ქორთუა (87)

გაფრთხილება: გაბისონია
მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

მატჩის ოქმს თბილისში ჯერ არ ჩამოუღწევია. ტრულად შემდეგ ნომერში იხილავთ

ოდიში — სამგურალი გადაიდო
ცხუმი — შუქურა გადაიდო

ბათუმი	7	5	1	1	17-6	16
გურია	5	5	0	0	23-3	15
სამტრედია	5	3	1	1	13-7	10
კოლხეთი 1913	5	3	1	1	11-6	10
ტორპედო	6	2	1	3	6-10	7
მზიური	6	1	2	3	6-16	5
შუქურა	4	1	1	2	6-8	4
ამირანი	6	0	4	2	12-16	4
სამგურალი	5	1	0	4	4-13	3
ცხუმი	5	0	3	2	6-15	3
ოდიში	4	0	2	2	8-12	2

დღეს, VIII ტურში თამაშობენ: შუქურა — მზიური, სამგურალი — ცხუმი, ტორპედო — ოდიში, კოლხეთი 1913 — გურია, სამტრედია — ბათუმი

საქართველოს თასი

გუშინ გაიმართა ეროვნული თასის მეთექვსმეტედფინალის კენჭისყრა. მატჩები გაიმართება 14 და 28 სექტემბერს. გამარჯვებულები კიდევ ერთ წრეს გამართავენ, მეოთხედფინალში კი ასპარეზობაში თბილისის „დინამო" ჩაებმება.

„მზიური" გალი — „ამირანი" ოჩამჩირე
„სამტრედია" — „ტორპედო" ქუთაისი
„ივერია" ხაშური — „ერქვანი" გურჯაანი
„საპოვნელა" თერჯოლა — „გურია" ლანჩხუთი
„მეშახტე" ტყიბული — „მალაროელი" ჭიათურა
„ცხუმი" სოხუმი — „მეტალურგი" რუსთავი
„ოდიში" ზუგდიდი — „სამგურალი" წყალტუბო
„მრეტები" თბილისი — „ბათუმი"
„მესხეთი" ახალციხე — „ფილა" გორი
„ეგრისი" სენაკი — „დურუჯი" ყვარელი
„შუქურა" ქობულეთი — „შევარდენი 1906" თბილისი
„კოლხეთი" აბაშა — „არაგვი" დუშეთი
„ანცი" თბილისი — „თეთრი არწივი" თბილისი
„კოლხეთი 1913" ფოთი — „კახეთი" თელავი

სტატისტიკა. VII ტური

	აღმ.	დას.	სულ	სეზონში
მატჩი	7	4	11	61
გოლი	30	13	43	224
საშუალო შედეგიანობა	4,29	3,25	3,91	3,67
მასპინძლები — სტუმრები:				
ქულები	9-12	8-2	17-14	120-51
პროცენტულად	43-57	80-20	55-45	70-30
ბურთები	15-15	9-4	24-19	147-77
პროცენტულად	50-50	69-31	56-44	66-34
გაძევება	0-1	—	0-1	1-6
გაფრთხილება	1-1	1-2	2-3	31-37
პენალტი	2-0	1-0	3-0	16-9
გამოყენებულია	0-0	1-0	1-0	14-5
დიდი ანგარიში	5	1	6	21
„ალბ-თრიქი"	1	—	1	5
ფეხბურთელთა რაოდენობა	144	91	235	343
დებიუტანტები	5	—	5	73

აღმოსავლეთ ქვეჯგუფში დამატებულია 2 გამოტოვებული მატჩი, დასავლეთში — ერთი.

5 გოლი გაიტანა მერაბ მეგრელაძემ (მარგვეთი). 2-2 ბურთი გაიტანეს წიკლაურმა (მალაროელი)-2-ჯერ, ნემსაძემ (დინამო), ამბიძემ (შუქურა), გოგოლაძემ (გურია), სეფაშვილმა (კახეთი).

ბომბარდირთა შორის მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. დაწინაურდა მეგრელაძე (მარგვეთი) — 10 გოლით. მას კვალში მიყვებიან კორღალიძე, გოგოლაძე (ორივე გურია), მაჭუტაძე (ბათუმი) — 7-7, გაბისონია (ამირანი) — 6, გოგიჩაიშვილი (შევარდენი 1906), აარველაძე (დინამო), წიკლაური (მალაროელი), ამბიძე (შუქურა), გამცემლიძე (გურია) — 5-5.

მეორე ყვითელი ბარათი მიიღო გაბისონიამ (ამირანი). მოედნიდან გაძევებულ იქნა ხურცილავა (შევარდენი 1906).

სტუმრად ორი მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით ჭიათურის მალაროელმა.

მარგვეთმა ჩემპიონატის სარკორდო ანგარიშით 7:0 დაამარცხა ჩრეტები.

VI ტურის მატჩში პენალტი გაუტანია გურჯაანელ კიკნაძეს და არა ზესტაფონელ მეგრელაძეს, რაც მატჩის ოქმში შეცდომით ენერა.

რევაზ შენგელია

მეორე ჯგუფი

აღმოსავლეთი

II ტური
ერქვანი-ზოოვეტი — ანცი 1:2
ჟაგუპიანი — მერანი-ბაჩო 4:0
თეთრი არწივი — ქართლი 5:1
შირაქი — ბახტრიონი 2:0
ნაფარეული — დურუჯი 2:0
მესხეთი — არაგვი 1:0
სმონი — არმაზი 2:1
თორი — ეკოგელა 0:0
რკონი — მერანი 3:0 (ჩაიშალა)

III ტური
ანცი — ჟაგუპიანი 2:0
მერანი 91 — ერქვანი-ზოოვეტი 1:1
არმაზი — რკონი 4:0
არაგვი — სმონი 2:1
დურუჯი — თორი 3:0
ბახტრიონი — ნაფარეული 3:0
ქართლი — შირაქი 0:0
მერანი-ბაჩო — თეთრი არწივი 1:2
ეკოგელა — მესხეთი 3:0 (ჩაიშალა)

დასავლეთი

II ტური
ჩიხურა — სულორი 4:1
ულუმგო — ბურია-2 2:1
კახაბერი — ივერეთი 4:1
მეშახტე — მერცხალი-ანაკო 3:0

III ტური
მერცხალი-ანაკო — გახმარო 4:0
ივერეთი — მეშახტე 0:2
ბურია-2 — კახაბერი 5:2
სულორი — ულუმგო 1:0
შევარდენი — კოლხეთი 1:1

გუშინწინ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე შოთა არველაძეს გადაეცა შპს „ლომბარდისა" და „სარბიელის" სპეციალური პრემია „ლინფილდთან" ჩემპიონთა თასის წინასწარი ეტაპის განმეორებით მატჩში გატანილი გოლისთვის — 1 000 000 კუპონი.

ვულოცავთ!

რამდენიმე წლის წინ გადაღებულ ამ ფოტოზე მაშინდელი თბილისის „დინამოს" ორი ფეხბურთელია აღბეჭდილი: თემურ ქეცბაია და ახრიკ ცვეიბა. ამჟამად ქეცბაია კვიპროსში თამაშობს, ცვეიბა კი — რუსეთში. მათი შემხედვარე ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველებსა და აფხაზებს დღეს შესარიგებლად გვაქვს საქმე. ქეცბაიას და ცვეიბას, საბედნიეროდ, არაფერი აქვთ შესარიგებელი, რადგანაც არასოდეს წაჩხუბებულან.

დღეს ახრიკ ცვეიბა 27 წლის გახდა.

ვულოცავთ ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზის" მოთამაშეს დაბადების დღეს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ფოტო თენგიზ პაპკორიას არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ვეტერანი

გოჩა თამაზაშვილი ოცდაათს მიღწეული ფეხბურთელია, თუმცა არც თამაშზე ეტყობა ასაკის გავლენა და არც სახეზე. ცხოვრებაშიც და მინდორზეც ჩუმი და მოკრძალებული გოჩა დიდ სამუშაოს ასრულებს „მაღაროელში“ და თუ ჭიათურა დღეს ლიდერთა შორისაა, გოჩას დამსახურებაც არის. სეზონის გახსნის მატჩში თამაზაშვილი საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, შემოვიდე ტურში კი სტუმრად „მრეტებთან“ ოცდათი მეტრიდან გატანილმა გოჩას გოლმა მნიშვნელოვნად განაპირობა „მაღაროელის“ წარმატება.

გოჩამ თამაში „ავაზაში“ დაიწყო, შემდეგ უკრაინაში ჯარში მსახურობდა და ჟიტომირის „სპარტაკში“ გამოდიოდა, მერე – კიევის „დინამოს“ საბაზო გუნდ „ბელაია ცერკოვში“. როგორც კი ეროვნულ ჩემპიონატი დაიწყო, საქართველოს მოაშურა და „სმტრედიაში“ დაიწყო თამაში, შემდეგ თბილისის „არმაზი 90“-ის ღირსებას იცავდა და დაუბრუნა კლუბს პირველ ჯგუფში გადასვლაში. მეორე სეზონია, რაც „მაღაროელში“ თამაშობს.

— გოჩა, ადრე სულ ნახევარდაცვაში თამაშობდი, „მაღაროელში“ კი მცველად გამოდიხარ...

— გუნდის ინტერესებისთვის თემურ გრძელიშვილმა დაცვაში დამაყენა. ჩემთვის სულერთია, რა ადგილზე ვითამაშებ.

— „არმაზი 90-ში“ არაერთხელ გაგიტანია გოლი კუთხურიდან. „მაღაროელში“ კი კუთხურებს სხვა აწვდის.

— კუთხურები რომ ვაწოდო, ჩემს პოზიციაზე დაბრუნებას ველარ მოვასწრებ. მე მარჯვენა ფრთიდან ვახვევდი, ახლა კი მთელი მინდვრის გადასერვა მომიწევს ამისთვის.

— ზედიზედ ორი მოგების შემდეგ გურჯაანში 0:6 წაგება რამ გამოიწვია?

— დასაწყისშივე პენალტი ვერ გამოვიყენეთ, რამაც ფსიქოლოგიურად მოგვშალა, თანაც მინდორი არ ვარგოდა კაპიკად, არც ძირითადი მეკარე ნიკა ხელაძე გვყავდა.

— შენ ბორის დუდაურის საყვარელი მოთამაშე იყავი „არმაზი 90-ში“. იგი ახლა ბულგარეთში ერთ-ერთ გუნდს წვრთნის. შენთვის არ შეშოუთავაზებია ბულგარეთში გადასვლა?

— შემომთავაზა, მაგრამ შევყოვნდი, რადგან საკმაოდ ბევრი მოთამაშე ჰყავდა წაყვანილი. ფინანსური სიძნელეების გამო თითქმის ყველა უკან დაბრუნდა ნეფარიძისა და ლოლუას გარდა.

— „მაღაროელმა“ ორი უკანასკნელი გასვლითი თამაში მოიგო და მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ამან როგორ იმოქმედა თქვენს გულშემატკივარზე?

— ყოველ მატჩს 4-5 ათასი კაცი ესწრება. შარშანწინ კარგა ხნით აგვიკრძალეს საკუთარ მინდორზე თამაში, ამან ისე იმოქმედა ჩვენს მაყურებელზე, რომ სანიმუშოდ იქცევიან, ჩვენც კუმართლებთ.

— მაინც რით აიხსნება „მაღაროელის“ წარმატება?

— უპირველეს ყოვლისა, მთავარი მწვრთნელის თეიმურაზ გრძელიშვილის პროფესიონალიზმით. მან სამი მცველით გვათამაშა „მეტალურგთან“ და „მრეტებთან“ და ორჯერვე დიდი ანგარიშით მოვიგეთ.

— იმედია, ხუთეულში გეგმავთ ადგილს...

— ჩვენი გამოთვლით, 35 ქულა საკმარისია ხუთეულში მოსახვედრად. ახლა 13 ქულა გვაქვს და ორი მატჩი შინ. მათი მოგების შემდეგ აღარ უნდა გაგვიჭირდეს ხუთეულში მოხვედრა.

— შენი თამაშის შემყურეს დავიწყდება, ვეტერანი რომ ხარ...

— კიდევ კარგა ხანს შემიძლია თამაში. რაშენიმე მოწვევაც კი მაქვს უცხოეთიდან, ძალიან მინდა იქაურ საფეხბურთო ცხოვრებაშიც ჩავიხედო.

მამუკა კვანტალიანი

ოჩამჩირე

თავს იცავს და შეტევაზეც გადადის

შარშან, 5 ნოემბერს რუსმა მფრინავმა სამი ბომბი ჩამოაგდო ოჩამჩირის სტადიონზე. ერთი პირდაპირ პენალტის ნიშანთან დაეცა და იმხელა ორმო გააკეთა, „ამირანის“ ხელმძღვანელებს რამდენიმე მანქანა მინის შემოტანა დასჭირდათ მის ამოსავსებად. სტადიონის ალაყაფს დღესაც ამჩნევია ერთ-ერთი ბომბის ნამსხვრევების კვალი...



ოთხ ივლისს გადმოსხმული დესანტის გასანადგურებლად მთელი ოჩამჩირე აღსდგა, მათ შორის ფეხბურთელებიც და „ამირანის“ ხელმძღვანელებიც. საბოლოოდ მტერი გაანადგურეს და ისევ ფეხბურთს მოუბრუნდნენ. სოფელ ცაგერადან ტყვიების ნვიმაში მოედნის საფარისთვის საჭირო ბელტები ჩამოიტანეს და ახლა ოჩამჩირის ცენტრალური სტადიონის მწვანე მინდორს მხოლოდ უეფა-ს ექსპერტის გამოცდილი თვალი თუ შეამჩნევს ბომბის ნაკვალევს, ისიც იმით, რომ ბალახის ჯიშებია განსხვავებული.

ენვერ თოლორდავა, ადიკ დურსუნიში და ბონდო კაკუბავა ის სამი „ვეშაპია“, რომლებზედაც დგას ოჩამჩირის ფეხბურთი. ბატონი ბონდოს ვაჟი ნიკა და ბატონი ენვერის ვაჟი ლევანი „ამირანის“ წამყვანი მოთამაშეებიც არიან. ადიკ დურსუნიში უცოლშვილოა, თორემ ალბათ, მისი ვაჟიც დაიცავდა „ამირანის“ ღირსებას. ოჩამჩირელთა მენეჯერი, წარმოშობით ლაზი დურსუნიში ალბათ, საერთოდ გამორჩეული კოლორიტული ფიგურაა ქართულ ფეხბურთში. ოთხი წლისა იყო, როდესაც 1949 წელს სტალინმა ტომსკში გადაასახლა ოჯახთან ერთად. შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციაში უცხოეთის განყოფილებაში მუშაობდა. 1980 წელს სოხუმს დაუბრუნდა, მსაჯობდა კიდეც და როგორც თვითონ ამბობს, არასოდეს გალახულა, რადგან პრინციპულობით და უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდა. მოსკოვში ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრაზე მუშაობდა. ბოლოს ისევ სამშობლოს სიყვარულმა სძლია და მას შემდეგ ოჩამჩირედან ფეხი აღარ მოუცვლია. ომის დროს ხომ ლეგენდადი დადიოდა ადიკ დურსუნიშზე.

— ბატონო ადიკ, რა მოგიტანათ ომმა?

— ტელეფონი.

— ?!

— მთელი ცხოვრება ტელეფონს ვნატრობდი. ომი რომ დაიწყო, ძალზე საჭირო კაცი გავხდი და ჩემს ბატალიონთან კავშირი რომ ყოფილიყო, ტელეფონი დამიდგეს.

— ხომ არ გაგიჭირდათ ომიდან ფეხბურთზე „გადართვა“?

— ფეხბურთიდან არასოდეს „გამოვრთულვარ“, შუა ომის დროსაც კი მე, ენვერ თოლორდავა და გუნდის ადმინისტრატორი ბადრი გოჩავა — სტადიონის მინდორზე უფრო ვზრუნავდით, ვიდრე საკუთარ სახლებზე. სულ ჩვენი ხელით გამოვიტანეთ ჭურვის ნამსხვრევები და ბელტებიც ჩვენი ხელით დავაგეთ.

— ომიდან და გაჭირვებიდან გამომდინარე, ალბათ, მოკრძალებული მიზნები გექნებათ.

— არა, პირიქით. ჩვენ გვინდა ხუთეულში მოვხვდეთ. მეტსაც ვიტყვი, ახლა ხუთეულში მოხვედრა სასიცოცხლო აუცილებლობაა ჩვენთვის, რადგან ამ შემთხვევაში ჩემპიონატის მეორე ეტაპს გუნდის შეთამაშებისთვის გამოვიყენებთ.

— „ამირანის“ მიერ ნათამაშევ მატჩებზე რას იტყვით?

— მართალია ჯერ თამაში არ მოგვიგია, მაგრამ მე მაინც იმედით ვარ აღვსილი. ჩვენ ხომ საკონტროლო თამაშები არ გვითამაშია, დაირღვა ცალკეულ მოთამაშეთა და რგოლებს შორის კავშირი, რასაც სათამაშო პრაქტიკა უნდა. ეფიქრობ, ორი-სამი მატჩიც და ბიჭები შეთამაშდებიან.

— ადრე „ამირანში“ მინსკელი შიროკი და გომონოვი გყავდათ, საქართველოს კლუბებიდან კი იშვიათად ინვევდით მოთამაშეებს. მომავალშიც საკუთარ რესურსებს დაეყრდნობით?

— აუცილებლად. 1978-79-იანთა თაობას მე და გია ქანთარია ვაკარჯიშებთ. სხვა ასაკშიც არიან ნიჭიერი ბავშვები. ყველა ასაკში ხუთი-ექვსი იმედისმომცემი ყმაწვილი იზრდება. უკვე უახლოეს მომავალში მივიღებთ შეესებას.

— დიდი გეგმების განხორციელება სრულყოფილი ბაზის გარეშე შეუძლებელია. ომი ახალი დამთავრებულია და ალბათ ამისთვის ჯერ არავის სცხელა, მაგრამ თუ ხვალვე არ მივხედავთ საქმეს, მერე კიდევ უფრო დაგვიანდება.

— მართალი ბრძანდებით. ჩვენც უპირველეს მიზნად ბაზის საკითხი დავისახეთ. თუ მართლა მშვიდობა დამყარდა და გზა გაიხსნა, პირობას გაძლევთ, ოჩამჩირეს ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა ექნება. ამის შესახებ მე ვესაუბრე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს და ალბათ, საქართველოს ერთ-ერთი ნაკრებიც ოჩამჩირეში გაიკვლის ხოლმე მომზადებას.

— რა გაძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს?

— ამასწინათ რამდენიმე დღით მოსკოვში გახლდით მიკლინებული, გუნდს ფორმა, ბუცები და ბურთები ჩამოვუტანე. ჩემი ძველი მოსკოვური კავშირების გარდა დიდი დახმარება გამიწია მოსკოვში არსებულმა ოჩამჩირელთა დიასპორამ. ისინი დამპირდნენ, რომ როგორც კი გზა გაიხსნებოდა, შეუდგებოდნენ ოჩამჩირეში ბაზის აშენების საკითხის გადაწყვეტას. დახმარება უფრო ფინანსური იქნება, ადგილზე კი ჩვენც უნდა გავინძრეთ, ჩემი ძველი კავშირების იმედიც მაქვს. ვაწარმოებთ საქმიან მოლაპარაკებას უკრაინაში, შეპეტოკის ფეხბურთელთა კლუბ „ტემპის“ ქართველ პრეზიდენტთან ბატონ ჯუმბერ ნიშნიანიძესთან.

— სიტყვამ მოიტანა და რომელი ქართველი ფეხბურთელები გადავიდნენ „ტემპში“?

— სოხუმელები ეორჭოლიანი, ჩიხრაძე, გაბისკირია და ძმები კაპანაძეები „გორდადან“. იქ არის კიდევ ერთი ბათუმელი ფეხბურთელი, რომლის გვარიც ახლა აღარ მახსოვს. ჯუმბერ ნიშნიანიძეს მთელი ქალაქი ხელის გულზე ატარებს, 12 ათასიანი სტადიონი მუდამ გადაჭედილია და ხუთი ათასამდე გულშემატკივარი სტადიონს მიღმა რჩება კიდეც.

— ოჩამჩირელებსაც, ალბათ, ასეეკ მოენატრათ ფეხბურთი.

— ფეხბურთი ჩვენთან თეატრიც არის, კინოც, ვიდეოც და ყველაფერი ერთად. ესლა დაგვრჩა ოჩამჩირეში, თანაც საკმაოდ კარგი გუნდის დაყენება შეიძლება ამ ბიჭებისგან. ბონდო კაკუბავამ იცის თავის საქმე. იმედია, მალე მოვა დრო, როცა ოჩამჩირის „ამირანი“ ტოტალურ შეტევაზე გადავა!

მამუკა კვარაცხელია

ოჩამჩირე.

ავტორის ფოტოები

ოჩამჩირელი ფეხბურთის მამები: ბონდო კაკუბავა, ადიკ დურსუნიში, ენვერ თოლორდავა

ბომბი სწორედ იმ ადგილას ჩამოვარდა, საიდანაც გელა გაბისონია სოხუმელთა კარში ურტყამს

ევროპა

გუშინწინ 11 მატჩი გაიმართა, თუმცა ფინალისტთა რიცხვს არცერთი გუნდი არ შემატებია.

I ჯგუფი

შოტლანდია — შვეიცარია 1:1

შოტლანდია: განი, მაკკიმი, ირვინი, ლიჯაინი, რობერტსონი, ნევინი, ბოუმენი (ო'დონელი, 75), მაკალისტერი, კოლინზი, ბუტი (ჯესი, 75), დიური.
შვეიცარია: პასკოლო, კეენტნი, როტენბიულერი (გრასი, 55), პერი, გაიგერი, ორელი, ბრეგი, სფორცა, სუტერი, ენუპი, შაპუიზა.
გოლები: კოლინზი (50), ბრეგი (69).

შვეიცარია	8	5	3	0	19-5	13
პორტუგალია	7	4	2	1	14-4	10
იტალია	7	4	2	1	15-6	10
შოტლანდია	8	3	3	2	11-10	9
მალტა	9	1	1	7	3-21	3
ესტონეთი	7	0	1	6	1-17	1

II ჯგუფი

ინგლისი — პოლონეთი 3:0

ინგლისი: სიმენი, ჯონსი, ადამსი, პალისტერი, პირსი, პლატი, ინსი, გასქოინი, შარპი, ფერდინანდი, რაიტი.
პოლონეთი: ბაკო, ადამჩუკი (ბაკი, 78), კოზმინსკი, ჩაზოვსკი, ლესიაკი, ბრეჟჩეკი, რ. ვარუნია, სვერჩევსკი, კოსეცკი, ლესნიაკი, ფურტოკი (ციობერი, 46).
გოლები: ფერდინანდი (5), გასქოინი (49), პირსი (53).

წინა შეხვედრებში ასე აშკარა ტაქტიკური დაბნეულობა და იმედგაცრუება პოლონელებთან მატჩისას თითქოს სადღაც გაჭრა. ინგლისის ნაკრებმა თავი წარმოაჩინა, როგორც დაბალანსებულმა და საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა გუნდმა. მათი უპირატესობა ანგარიშშიც აისახა. მეხუთე წუთზე დევიდ პლატის გრძელი გადაცემა მიიღო ლეს ფერდინანდმა, რომელმაც ოდნავ დააყოვნა და მეკარე ბაკის პირველი გოლი გაუტანა. პოლ გასქოინი შორიდან ურტყამდა და ორჯერ ასეთი დარტყმების შემდეგ იან რაიტს კარგი მომენტები შეექმნა. აქტიურობდა ფერდინანდიც, რომელიც შეტოქის მეკარეს მუდმივად დაძაბულს ამყოფებდა, 22-ე წუთზე ბაკომ მას ფეხიდან აცალა ბურთი. 71 200 გულშემატკივარი შეტად აღშფოთდა, როდესაც კინკლაობისთვის გასქოინი გაფრთხილეს, ეს მისი მეორე გაფრთხილებაა და 13 ოქტომბერს უმნიშვნელოვანეს მატჩს პოლანდიასთან გამოტოვებს. გასქოინმა მაინც შეაგდო თავისი გოლი. სამაზდე ანგარიში კი სტიუარტ პირსმა გაზარდა. ინგლისელთა მწვრთნელი გრეგ ტეილორი ალბათ სიხარულით მეცხრე ცაზე იყო.

ნორვეგია	7	5	2	0	20-3	12
ინგლისი	8	4	3	1	19-6	11
პოლანდია	7	3	3	1	17-8	9
პოლონეთი	6	3	2	1	8-6	8
თურქეთი	8	1	1	6	7-17	3
სან მარინო	8	0	1	7	1-32	1

III ჯგუფი

ირლანდია — ლიტვა 2:0

ირლანდია: ბონერი, ირვინი, კერნაგანი, მორანი, ფულანი, პაუთონი, კინი, ტაუნსენდი (ვილანი, 67), სტაუნტონი, ოლდრიჯი, ქუინი (კასკარინო, 74).
ლიტვა: სტაუჩე, ჟუკასი, ბალტუშნიკასი, კალვაიტისი, ტერეშკინასი, აპანავიჩუსი, სტუმბრისი, კირილოვასი (მაცულავიჩუსი, 68), ბარანაუსკასი, სკარბალიუსი (სტალიუნასი, 84), შლიკასი.
გოლები: ოლდრიჯი (4), კერნაგანი (25).

ალბანეთი — დანია 0:1

დანია: შმაიხელი, ჩელდბერგი, ოლსენი, რიპერი, პანსენი (ლარსენი, 54), ვილფორტი, იენსენი (პოგი, 51), ნილსენი, მ. ლაუდრუპი, ბ. ლაუდრუპი, პინგელი.
გოლი: პინგელი (64)

თამაში ალბანელებმა აქტიურად დაიწყეს, ისინი უტევდნენ და სამი საგოლე მომენტიც შექმნეს. პირველი მეოთხე წუთზე ჰქონდა სოკოლ კუშტას, ინდრიდ ფორტუციამ 26-ე წუთზე აიცილა, ხოლო თავდამსხმელმა სულეიმან დემოლარიმ შვიდი წუთის შემდეგ ვერ გამოიყენა შანსი. დანიელებს კი პირველი მომენტი 25-ე წუთზე ჰქონდათ, როდესაც კიმ ვილფორტის დარტყმა მეკარე სტრაკოშამ მოიგერია. მეორე ტაიმში, საკუთარ ფორმაში მყოფმა ლაუდრუპებმა ვითარება გამოაკვალეს. ერთადერთი გოლის გატანაში, რომლის დამაგვირგვინებელ სტადიაზეც პინგელმა უძლიერესად დარტყა, ორივემ მიიღო მონაწილეობა. „ეს ალბანელთა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო" — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა ბეჯაუშ ბირსმა.

ჩრდ. ირლანდია — ლატვია 2:0

ჩრდ. ირლანდია: რაიტი, ფლემინგი, უორტინგტონი, ტაგარტი, დონაპიუ, მეგილტონი, უილსონი, ქუინი, პიუზი, დოუი, გრეი.
ლატვია: კარავაევი, ტროიცკი, ალექსეენკო, ივანოვი, გნედოი, პოპკოვი, შარანდო, შველიაკოვი, ელისეევი, ბაბიჩევი, ლინარდსი.
გოლები: ქუინი (35), გრეი (80).

ირლანდია	10	7	3	0	17-2	17
დანია	10	6	4	0	14-1	16
ესპანეთი	9	5	3	1	18-2	13
ჩ. ირლანდია	10	5	2	3	13-11	12
ლიტვა	12	2	3	7	8-21	7
ლატვია	12	0	5	7	4-21	5
ალბანეთი	11	1	2	8	5-21	4

IV ჯგუფი

უელსი — ჩეხეთი და სლოვაკეთი 2:2

უელსი: საუთპოლი, ფილიპსი, აიზლვუდი, იანგი, საიმონსი, ბოუენი, პიუზი, გიგზი, სონდერსი, რაში.
ჩეხეთი და სლოვაკეთი: კოუბა, სუხოპარეკი, ნოვოტნი, გაშეკი, ლატალი, მორავჩიკი, ნემეჩეკი, ხაპალი, დუბოვსკი, კადლეცი, კუკა.
გოლები: კუკა (16), გიგზი (21), რაში (35), დუბოვსკი (67).

უელსის ნაკრებს აუცილებლად უნდა მოეგო როგორც ეს მატჩი, ისე მომდევნო ორი შეხვედრა კვიპროსსა და რუმინეთთან. მასპინძლები წინ იყვნენ 2:1, როდესაც 66-ე წუთზე ესპანელმა მსაჯმა ხუან როჩამ შეცვლაზე შემოსული ტომაშ სკუპრავის წინააღმდეგ უხეში თამაში აღნიშნა და ჯარიმა დანიშნა. მადრიდის „რეალის" ნახევარმცველმა პეტერ დუბოვსკიმ დარტყმა ოსტატურად შეასრულა. ახლა უელსის გუნდი საკუთარი თავის გარდა, სხვათა შედეგებზეც არის დამოკიდებული.

ფაროერის კუნძულები — რუმინეთი 0:4

რუმინეთი: პრუნია, პეტრესკუ (კრაიოვანუ, 76), ლუპესკუ, პოროდანი, პოპესკუ, შეიმეში, საბეუ, პაფი, მუნტიანუ, რადუჩოუ, ვლადოუ (პანდურუ, 68).
გოლები: რადუჩოუ (23, 58, 60, 76).

ბელგია	8	7	0	1	15-3	14
რუმინეთი	8	5	1	2	25-10	11
ჩეხოსლოვაკ.	8	3	4	1	18-9	10
უელსი	8	4	2	2	16-10	10
კვიპროსი	8	2	1	5	8-13	5
ფაროერები	10	0	0	10	1-38	0

V ჯგუფი

უნგრეთი — რუსეთი 1:3

გოლები: პიატნიცკი (15), ნიკიფოროვი (21, საკ. კარში), კირიაკოვი (53), ბოროდიუკი (90).

ისლანდია — ლუქსემბურგი 1:0

გოლი: ინგოლფსონი (54 პ).

რუსეთი	7	5	2	0	15-3	12
საბერძნეთი	6	4	2	0	6-1	10
ისლანდია	8	3	2	3	7-6	8
უნგრეთი	7	1	1	5	5-11	3
ლუქსემბურგი	6	0	1	5	1-13	1

VI ჯგუფი

ფინეთი — საფრანგეთი 0:2

საფრანგეთი: ლამა, დესაი, როში, ბლანი, პეტი, დეშამი (გერენი, 88), ლე გენი, სოზე, მარტენსი (პედრო, 72), პაპენი, კანტონა.
გოლები: ბლანი (47), პაპენი (55 პ).

ბულგარეთი — შვედეთი 1:1

ბულგარეთი: ანანიევი, კრემენლიევი, ივანოვი, ცვეტანოვი, რაკოვი, იანკოვი, ლეჩკოვი, კოსტადინოვი (იორდანოვი, 78), ალექსანდროვი (დონკოვი, 55), სტოიჩკოვი, ბალაკოვი.
შვედეთი: რაველი, რ. ნილსონი, ი. ერიკსონი, ანდერსონი, ლუნგი, შვარცი, ლიმპარი, იზგესონი, ტერნი, დალინი (რენი, 85), ბროლინი (ექსტრიომი, 80).
გოლები: სტოიჩკოვი (21 პ), დალინი (26).

საფრანგეთი	8	6	1	1	14-5	13
შვედეთი	8	5	2	1	15-5	12
ბულგარეთი	8	4	2	2	13-8	10
ავსტრია	7	3	0	4	12-10	6
ფინეთი	8	1	1	6	4-14	3
ისრაელი	7	0	2	5	5-21	2

იტალია

III ტური. 8 სექტემბერი. ატალანტა — რეჯანა 2:1 (განცი 8, სკაპოლო 53; პიკასო 84), ჯენოა — კალიარი 1:1 (ნაპი 42; ალეგრი 24 პ), ინტერი — კრემონეზე 2:1 (პერხკამპი 20, სკილაჩი 80; ფუსტა 52, საკ.კარში), იუვენტუსი — სამპდორია 3:1 (კონტე 28, რ. ბაჯო 47, მიოლერი 65; გულიტი 27), ლაციო — პარმა 2:1 (ფუზერი 28, კრავერო 47 პ; ძოლა 40), ლეჩე — ფოჯა 0:2 (ბრუშანი 21, რიო 90), ნაპოლი — ტორინო 0:0, პიაჩენცა — მილანი 0:0, უდინეზე — რომა 0:0.

ტორინო (9)	3	2	1	0	5-1	5
ინტერი(2)	3	2	1	0	5-3	5
მილანი (1)	3	2	1	0	2-0	5
ატალანტა (8)	3	2	0	1	8-5	4
იუვენტუსი (4)	3	2	0	1	5-3	4
ფოჯა (12)	3	1	2	0	3-1	4
პარმა (3)	3	2	0	1	3-2	4
ლაციო (5)	3	1	2	0	2-1	4
სამპდორია (7)	3	2	0	1	5-5	4
ჯენოა (13)	3	1	1	1	3-2	3
უდინეზე (14)	3	1	1	1	2-2	3
რომა (10)	3	1	1	1	2-3	3
კრემონეზე (დ)	3	1	0	2	3-3	2
რეჯანა (დ)	3	0	1	2	2-4	1
ნაპოლი (11)	3	0	1	2	1-4	1
კალიარი (6)	3	0	1	2	4-8	1
პიაჩენცა (დ)	3	0	1	2	1-5	1
ლეჩე (დ)	3	0	0	3	0-4	0

მინისძვრა

ორშაბათიდან მოყოლებული საფრანგეთის ყველა ტელე და რადიო გადაცემა საეთერო დროის ორ მესამედს ბერნიდან მიღებულ კოშმარულ ცნობას და მის ანალიზს უთმობს. თვალის დახამხამებაში მეორეხარისხოვან ინფორმაციად იქცა მსოფლიოში მიმდინარე ომები თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები. ქვეყნის მმართველ პარიზის მერი ჟაკ შირაკი უფრო თამამი გამოდგა და შვეიცარიაში გამოტანილ განაჩენს ნაჩქარევი უწოდა. მარსელის მერმა რობერ ვიგურუმ ფიცი დასდო, რომ თავისი ქალაქის გუნდს, მოვლენების განვითარებისგან დამოუკიდებლად, მომავალშიც ყოველმხრივ მხარს დაუჭერს. თავად ფეხბურთელები თავზარდაცემულნი არიან. სასოწარკვეთილმა მცველმა უარს ამბობდა „მარსელის" ნაცვლად თამაშზე. კოლეგებს სოლიდარობა „ბორდომაც" გამოუცხადა. „მონაკოც" თავიდან იმავე აზრზე იდგა. ერთადერთი, ვინც „შტრაიკბრეხერულ" მიდრეკილებას ავლენდა, „ოსერი" გახლდათ, რომელიც გასულ სეზონში მეექვსე იყო. მისმა მწვრთნელმა გი რუმ ბრძანა, საფრანგეთის ჩემპიონთა თასის გარეშე დატოვება დანაშაულიაო.

ასე იყო თუ ისე, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ მოასწრო დადგენილ ვადაში ახალი განაცხადის გაგზავნა. გუნდი, რომელიც „მარსელს" შეცვლის, „მონაკოა". მოტივი: მონაკო

ტაპის იმპერიაში

პობოლებს ჟურნალისტები ფეხბურთზე ეკითხებიან. ინფორმაციის ელექტრულ საშუალებებს არც პრესა ჩამორჩა. „დამსხვრეული ოცნება", „გაფანტული", „წითული ბარათი მარსელს" — თვალს ჭრის პირველ გვერდზე მოთავსებული სათაურები. მარსელში საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა.

ბუნდოვნად ვთქვით, კოშმარული ცნობაო, თუმცა ალბათ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ყველა გულშემატკივრისთვის ნათელია თუ რაზეა საუბარი. ორშაბათს, უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა ხუთსაათიანი ბჭობის შემდეგ მარსელის „ოლიმპიკი" გააძევა ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან. შეგახსენებთ საბაბს: მეოთხე თვეა ეჭვი აქვთ, რომ გასულ სეზონში მარსელის გუნდი ცდილობდა მოწინააღმდეგის მოქრთამვას. იმავე სხდომაზე ევროპული ფეხბურთის ბოსებმა ორდღიანი ვადა მისცეს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას განთავისუფლებულ ადგილზე სხვა გუნდის წარმოსადგენად.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარ ბალადიურმა განაცხადა, რომ უეფა-ს გადაწყვეტილება დიდ სინანულს იწვევს, თუმცა ისიც დაამატა, რომ დანარჩენი მისი საქმე არაა. ბერნარ კაზონიმ თქვა: „დამთავრდა, „ოლიმპიკი" აღარ არსებობს. მას მომავალი არა აქვს". კაპიტანმა დიდიე დეშამმა იმის თქმაღა მოახერხა, ძლიერ დარდიანი ვარო. მომომხილველთა აზრით, მარსელელ მოთამაშეებს ახლა ევროპულ ტრანსფერ-ლისტებში უნდა ველოდოთ.

კლუბმა ფინანსური თვალსაზრისითაც ძლიერი დარტყმა იგემა. როგორც ამბობენ ზარალი 100 მილიონ ფრანკს აღემატება. სპონსორების დანაკარგს კი ნული იკითხავთ. ტელეკომპანია TF-1-ს „ოლიმპიკის" ყველა თამაშის გადაცემის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა შეძენილი.

გამძვინვარდა მთავარი მოქმედი პირი, მარსელის პრეზიდენტი ბერნარ ტაპი. მან სასამართლოს მეშვეობით შეუთვალა ფეხბურთის ფედერაციას და ეროვნულ საფეხბურთო ლიგას, რომ უეფა-ში გასაგზავნ ახალ განაცხადში ისევ „ოლიმპიკი" შეეტანათ. ზემოაღნიშნულ ორ ორგანიზაციას კი ნამდვილი თავსატეხი ჰქონდა გაჩენილი. მათი შეფები ჟან ფურნიეფაიარი და ნოელ ლე გრეტი ქვეყნის ახალგაზრდობის და სპორტის საქმეების მინისტრთან მიშელ ალო-მარისთან შევიდნენ სათათბიროდ. რა ეღონათ? ვიცე-ჩემპიონი „პარი სენ ჟერმენი" ცალკე სახელმწიფოა და მას სოლიდარობის დარღვევა „ერის ღალატად" არ ჩაეთვლება. დააკმაყოფილეს აცუნდრუკებული „ოსერიც". იგი თასების თასზე, „მონაკოს" ადგილს დაიკავებს.

თითქოს ყველაფერი უნდა დაწყნარდეს, მაგრამ ტაპი რის ტაპია, თუ ბოლომდე არ იბრძოლა. მას ბერნის სასამართლოში ჩივილი აქვს განზრახული. მისმა ადვოკატმა, უეფა-ს ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ფრედი რუმმ განაცხადა, რომ ჯერ ერთი, აღმასკომის გადაწყვეტილება შვეიცარიის სამართლის კანონებს ეწინააღმდეგება; მეორე: აღმასკომი ვისი ტიკიტომარაა, ვერდიქტი სადისციპლინო კომისიას უნდა გამოეტანა; მესამეც: სხდომაზე მარტო ფრანგული ფედერაციის პრეზიდენტი რომ მიიწვიეს, ნუთუ არ იცოდნენ, რომ მათ ეროვნული ფედერაციის კი არა, კონკრეტული კლუბის ბედი უნდა გადაეწყვიტათ, რომელსაც თავის მართლების საშუალებაც კი არ მისცესო.

და ბოლოს, „ვალანსიენის" მოთამაშემ, არგენტინელმა ხორხე ბურუჩაგამ, რომელიც ესწრებოდა იმ სატელევიზო საუბარს, როდესაც მის თანაგუნდელებს მარსელელები თითქოსდა ქრთამს სთავაზობდნენ, ჩემოდანი ჩაალაგა და შორეული სამშობლოსკენ გასწია.

ილია გაგუნაშვილი

სამშაბათს დილით 35 წლისა გარდაიცვალა მტკ-ს და უნგრეთის ნაკრების მეკარე გაბორ ციბორაში. მან 1 სექტემბერს, ვარჯიშზე გრძნობა დაკარგა და მას მერე კომიდან ვერ გამოვიდა. ციბორაშს „ფერენცვაროშისა" და მტკ-ს შემადგენლობაში, უნგრეთის უმაღლეს ლიგაში 361, ხოლო ეროვნული ნაკრების სახელით 4 მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

რიბის „რაფს" უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა უეფა-ს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მას ფაროერის კუნძულების გუნდ „ჰაფნართან" ჩაეთვალა წაგება 0:3. შეგახსენებთ, რომ როგელთა ვერსიით, გუნდი ფაროერებზე ნისლის გამო ვერ ჩავიდა. უეფა-ში კი იმსჯელეს და დაასკვნეს, რომ ლატვიელებს სათანადოდ არ მოუნდომებიათ, თორემ დროულად ჩაალწევდნენ კუნძულებზე.

მოლავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი აშშ-ს ნაკრები გამამარცხებელ ემზადება. გუშინწინ მან ამხანაგური მატჩი გამართა ოსლოში ნორვეგიელთა წინააღმდეგ. ევროპელებმა დაამარცხეს ოკეანისგაღმელი სტუმრები 1:0. გოლი 13-ე წუთზე ბიორნებიუმ გაიტანა.

ორშაბათს კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში დიდი ზეიმი გამოცხადდა. წინა დღეს მათმა ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა არგენტინის გუნდი 5:0 და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ქალაქის მერმა თავად ისურვა ფეხბურთელების დახვედრა. ზეიმი აურზაურად იქცა. ატყდა ლოთობა, აყალ-მაყალი, ბოთლების სროლა. ბოგოტელები ამას არ დასჯერდნენ და ცეცხლსასროლი იარაღითაც ატეხეს ბათქა-ბუთქი. მთვრალ მძღოლებს მრავალი ავარია შეემთხვათ. სიხარულის ასე გამოხატვის შედეგად 400 კაცი საავადმყოფოში აღმოჩნდა, ხოლო 20 დაიღუპა.

მოსკოვის „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელს ოლეგ რომანცევს კრასნოიარსკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დედა გარდაეცვალა. ცსკა-ს ყოფილ მწვრთნელს გენადი კოსტილევს კი საქმე კარგად აქვს. როგორც ამბობენ, მის გადაბირებას სსფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბი „ბასტია" აპირებს.

საქართველოს ჩემპიონატი

„ყოჩები“ მძლავრობენ, „შევარდენი“ და „ვესტა“ ემზადებიან!

გუშინწინდელ ტურში მოულოდნელი არაფერი მომხდარა — სამმა ლიდერმა სამი აუტსაიდერი დამარცხა.

აგრარული უნივერსიტეტი, 8 სექტემბერი

ყოჩები	25
შევარდენი	33

გოლები. ყოჩები: 3ლ — ბარძიმიშვილი-2, ულენტი; 2გ — ტეფნაძე; 2ბ — ბარძიმიშვილი. შევარდენი: 5ლ — იურინი-2, შანშიაშვილი, ტყეშელაშვილი, ნ. მგელაძე; 4გ — იურინი-3, მოდებაძე.

„ყოჩებმა“ „შევარდენი“ უკანასკნელად სამი წლის წინ სძლიეს — 16:6. მახუკან ბევრმა წყალმა ჩაიარა: „შევარდენმა“ ოთხი მომდევნო მატჩი მოიგო. სხვაობა ჯერ ორ-ორი ქულით იზრდებოდა — 9:6 (1990), 20:15 (1991), 17:10 (1991), 1992 წელს კი ერთბაშად 47 ქულას ეწია — 47:0! ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როცა „შევარდენმა“ სხვა გუნდებში გაფანტული თავისი მოთამაშეების თავმოყრა დაამთავრა და ჩემპიონობისთვის სბრძოლველად განეშადა, „ყოჩებს“ კი პირუკუ, შავი დღე ედგათ: მოწინააღმდეგეს ზოგი „ამირანში“ გადავიდა, ზოგმაც თამაშს თავი ანება.

წლეულს „შევარდენი“ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატთაგანია, „ყოჩების“ მწვრთნელები, მიქაბერიძე და გეგენავა კი სერიოზულად შესდგომიან გუნდის აღორძინებას, სადაც ძველებიდან ზუთიოდ კაცი თუ დარჩენილა.

„შევარდენის“ ლიდერთაგან გუშინწინ კვლავ არ თამაშობდა ჯანელიძე. ამას დვალი, ახვლედიანი, ნადირაძე, პარნიკასაშვილი და ზოიძეც დემატნენ. „ყოჩებს“ ნაკრების მოთამაშე ზ. ლეჟავა აკლდათ. დანაკრების მიუხედავად, „შევარდენი“, გამარჯვებაში დარწმუნებული იყვნენ, რაკიღა საჯარიმო ერთხელაც არ დაურტყამთ, ხელსაყრელი პოზიციებიდანაც კი — ერთთავად ლელოს გატანას ლამობდნენ, თუმცა, მატჩის დიდი ნაწილის მანძილზე საკუთარ მოედანზე იყვნენ ჩასაფრებული: ხუთი სალელოე შეტევიდან ოთხი თავისივე ნახევრიდან წამოიწყეს.

ბარძიმიშვილისაგან (15) მიღებული საჯარიმოს შემდეგ „შევარდენმა“ კლასიკური „მარაო“ გაითამაშა და შანშიაშვილმა (14) ლელო გაიტანა 1:3. შემდეგ „ყოჩმა“ ფერაძემ (8) ბურთი წაართვა მეტოქეს და მარილია, ლელომდე ცოტა დაკლდა, მაგრამ იქვე ბარძიმიშვილმა კიდევ ერთი საჯარიმო შეაგდო — 6:5. ტაიმის ბოლოს „ყოჩებს“ ორჯერ გაექცათ იურინი — 6:19.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ბარძიმიშვილმა კიდის ხაზთან ლელო გაიტანა — 11:19 და „ყოჩებმა“ დიდი შეტევა წამოიწყეს, რომლის დროსაც ერთხელ ახლოდან კარშიც არ დარტყეს, მაგრამ საბოლოოდ ბურთი ხელთ კვლავ იურინს ჩაუვარდა, რომელსაც ლელოსთან მიღწეულს ტყეშელაშვილი (8) წაეხმარა — 26:11 და ალბათ აღარც „ყოჩებს“ ჰქონდათ მოგების იმედი, მაგრამ ბოლო ათ წუთში მათ კიდევ ორჯერ შეაღწიეს მეტოქის ლელოში. უკანასკნელად — დამთავრებამდე 5 წუთით ადრე, როცა ბარძიმიშვილმა ცენტრში უპატრონოდ მიგდებული ბურთი იხელთა — 25:26! „შევარდნებმა“ მაშინლა იგრძნეს წაგების საშიშროება, როცა „ყოჩებმა“ ისევ შეუტიეს! ამათ შეხვედრის ბოლომდე ერთი საჯარიმოს აცდენაც მოასწრეს და არეკნით დარტყმაც — ბედად, ნიქავამ (7) გეგენავას (10) დარტყმა არ აცალა, ბურთი შემცვლელად შემოსულმა ნ.მგელაძემ მიიგდო და ლელომდე ყველას მიასწრო — 33:25. 16-16 ქულა მოაგროვეს იურინმა და ბარძიმიშვილმა.

რუსთავი, 8 სექტემბერი

აზოტი	35
თბილისი	21

ვაკე, 8 სექტემბერი

ვესტა	39
ქორები	8

ამერის! ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
ვესტა	8	7	0	1	249-93	14
შევარდენი	7	6	0	1	181-120	12
აზოტი (რუსთ.)	8	6	0	2	172-119	12
ამირანი	9	5	0	4	115-87	10
თბილისი	8	2	0	6	149-209	4
ყოჩები	7	1	0	6	117-205	2
ქორები	7	0	0	7	61-211	0

შაბათ-კვირას ვაკეში ტრადიციული საშვიდკაცე ტურნირი უნდა გაიმართოს, სადაც ქუთაისელთა სტუმრობასაც ელიან. „სარბიელის“ წინა ნომერში აღწერილმა სტადიონების ამბავმა ყველას ისე აურდაურია დავთრები, რომ ჩემპიონატის მომდევნო თამაშების თარიღი დღეს უნდა დადგინდეს: ჯერ ცნობილი არაა, ორშაბათს, უფრო კი სამშაბათს, მორიგი ტური გაიმართება თუ გამოტოვებული თამაშები. ორივე შემთხვევაში ამერის ჯგუფის მთავარი მატჩის — „ვესტა“ — „შევარდენის“ რიგია!

მამუკა ჩიხლაძე

ჩემპიონთა თასი

ნაგებიס მიუხედავად

სლოვაკეთის ქალაქ პრეშოვში გაიმართა ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ტურის მატჩები ადგილობრივ „ტატრანსა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდ „შევარდენს“ შორის. ორივე შეხვედრაში წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს — 17:12 (9:5) და 25:20 (12:8).

პრეშოვში გამგზავრების წინ ჩვენს გუნდს მოსკოვში ერთი-ორი მატჩის ჩატარება ქონდა დაგეგმილი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან სამი დღე თბილისის აეროპორტში მოუწიათ ყურყუტი.

მარცხის მიუხედავად, ქართველ ხელბურთელებს ურიგოდ არ უთამაშიათ. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა მერაბ შეტრეველმა აღნიშნა: ერთი მატჩი შინ რომ გვეთამაშა და ფიზიკურად უკეთ მოვმზადებულიყავით, საერთო შედეგი შესაძლოა სტუ-ს სასარგებლოდაც ყოფილიყო.

პირველ შეხვედრაში დაცვამ აშკარად აჯობა თავდასხმას. 10 წუთი ისე მიიწურა, ანგარიში არ იყო გახსნილი, რაც ძალზე იშვიათია. მეოცე წუთისთვის ჩვენები ერთი ბურთით იყვნენ წინ, მაგრამ ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევით ოთხბურთიან უპირატესობას მიაღწიეს. ეს მატჩი უხეშობითაც გამოირჩეოდა. მსაჯთა ლიბერალობამ თამაში ჩაშლის პირას მიიყვანა. კიდევ კარგი, ორივე გუნდის მოთამაშეებმა თავშეკავება გამოიჩინეს და შეხვედრაც მშვიდობიანად დასრულდა. თუმცა ჩვენი მარჯვენა შუამბრი მამუკა შენგელია ისე დაშავდა, რომ მეორე დღეს ველარ შეძლო მოედანზე გამოსვლა. ეს კი გუნდისთვის დიდი დანაკლისი იყო.

ორივე მატჩში გამოიჩინა თავი ბექა ორჯონიკიძემ, რომელმაც 15 გოლი გაიტანა. მისი თამაში ისე მოეწონათ მასპინძლებს, რომ „ტატრანში“ გადასვლა შესთავაზეს. ორივე თამაში შეუცვლელად ჩაატარა 42 წლის ამბერკი ტბიძემ.

ზვიად შათირიშვილი

ინგლისსა და ჰოლანდიაში

ლონდონის სასტუმრო „ავოიში“ „ტიმსის მსოფლიოს ჩემპიონატზე“ გარი კასპაროვმა პირველ პარტიაში თეთრი ფიგურებით დამარცხა ნაიჯელ შორტი. გათამაშდა ესპანური პარტია. სიტუაცია თითქოსდა საყაიმო იყო, მაგრამ შორტი ციტადელში მოხვდა, მას 5 წუთში 10 სვლა უნდა შეესრულებინა. ალბი ჩამოვარდა, ანგარიში გაიხსნა.

ჰოლანდიაში, ფიდე-ს ეგიდით მიმდინარე შეხვედრაში კი ორი პარტია გაიმართა და ორივე შავი ფიგურებით მოთამაშემ მოიგო. პირველ პარტიაში, რომელშიც 57-ე სვლაზე ანატოლი კარპოვმა გაიმარჯვა გათამაშდა კარიკანის დაცვა, მეორეში, რომელიც იან ტიმანმა მოიგო — აბალინდერი.

ნიუ-იორკში სენსაციას რა გამოლევს

აშშ-ის ღია ჩემპიონატზე ბოლო ორსამ დღეში იმდენი საინტერესო და მოულოდნელი რამ მოხდა, რომ ერთი სგაგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმთავრესს აღვნიშნავთ, დანარჩენზე კი ტექნიკური შედეგებიდან შეიტყობთ.

„სარბიელის“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ ბულგარელი დები მალეევები მეოთხედფინალში გავიდნენ. სამწუხაროდ, ცხრა მთას იქიდან წამოსულმა ინფორმაციამ ჩვენამდე არაზუსტად მოაღწია. გადასამოწმებლად სხვა წყაროს უქონლობის გამო, ჩვენც, გაფუჭებული ტელეფონისა არ იყოს, იგივე შეცდომა გავიმეორეთ. რისთვისაც, ცხადია, ბოდიშს გიხდით. როგორც გაირკვა, სამივე მალეევა მეოთხედფინალში კი არა, მეოთხე წრეში გასულა. იქიდან კი ორმა — მანუელამ და კატერინამ გაიგრძელა წინსვლა. ასე, რომ „ფლაშინგ მიდოუზე“ 8 უძლიერესს შორის ორი მალეევაცაა. იქნებ, მართლაც სამივე გასულიყო მეოთხედფინალში, წილისყრას კატერინა და მაგდალენა რომ არ დაეპირისპირებინა ერთმანეთთან. ეს ემოციური ორთაბრძოლა, რომელსაც ოჯახური იდილიისა არაფერი ეტყობოდა, კატერინამ მოიგო — 6:2, 6:3. სამაგიეროდ, სრული ფიასკო განიცადეს ამერიკელმა ქალებმა — პირველად თავისი ქვეყნის ჩემპიონატების 107 წლის მანძილზე ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია მეოთხედფინალამდე. ჯერ იყო და ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, მუცლის ტკივილის მიზეზით თამაშზე უარი განაცხადა მსოფლიოს მეშვიდე „ჩოგანმა“ მერი ჯო ფერნანდესმა. ჯენიფერ კაპრიატი უკვე პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. ბოლოს კი მასპინძელთა უკანასკნელი იმედი, აშშ-ის ოთხგზის ჩემპიონი მარტინა ნავრატილოვა დამარცხდა. 36 წლის უკვე ლეგენდადქცეულ ყოფილ თანამემამულეს მეოთხედფინალისკენ მიმავალი გზა გადაუღობა 9 წლით უმცროსმა ჰელენა სუკოვამ, რომელიც პრაღის კორტებზე პირველ ნაბიჯებს სწორედ მარტინას თვალწინ დგამდა.

მართალია, თავად ნავრატილოვას ჯერჯერობით ოფიციალურად არაფერი უთქვამს ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ, მაგრამ სუკოვასთან თამაშის ცქერისას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ის დღე შორს აღარაა. იქნებ ამიტომაც, ვეტერანის ყოველ ზუსტ დარტყმას გადაჰედილი ტრიბუნები განსაკუთრებული ოვაციით ხვდებოდა.

ნახევარფინალისაკენ პირველმა გაიკაფა გზა ჩემპიონობის მთავარმა პრეტენდენტმა შტეფი გრაფმა, რომელსაც გაბრიელა საბატინის დასამარცხებლად სამივე ხელის თამაში მოუხდა — 6:2, 5:7, 6:1.

ტურნირზე მეორე ნომრად „განთესილი“ არანტა სანჩესი კი უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში. ნატალია ზვერევასთან მისი მატჩი სულ რვა წუთის დაწყებული იყო, როცა მინსკელმა შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა და უარი თქვა შეხვედრის გაგრძელებაზე. სანჩესის მეტოქეა სუკოვა, გრაფი კი მანეულა მალეევა-ფრანიეს შეხვდება, რომელმაც იაპონელი კიმიკო დატმ დაამარცხა — 7:5, 7:5.

ვიცთა შეჯიბრება, როგორც სენსაციურად დაიწყო, ბოლომდე ასეთ გრძელდება. განსაკუთრებით ტრაგიკული გამოდგა ლიდერთათვის მეოთხე წრე — ერთბაშად ორი ფავორიტი გამოეთიშა ასპარეზობის.

მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მდგომმა ჯიმ კურიემ სულ ორიოდე კვირის წინ დაიბრუნა „დიდი სლემის“ ტურნირებში ანგარიშია — 7:5, 6:7, 6:4, 6:4 ნიუიორკში მე-15 ნომრად „განთესილი“ 24 წლის ფრანგის სასარგებლოდ.

არანაკლებ სენსაციურია მსოფლიოს მეოთხე „ჩოგნის“ ბორის ბეკერის მარცხი კლასიფიკაციაში მე-60 ნომერ შვედ მაგნუს ლარსონთან ორთაბრძოლაში — 2:6, 3:6, 6:3, 5:7.

იშვიათი შემთხვევა მოხდა ავსტრალიელი ჩოგბურთელების უელი მაზურისა და ჯეიმი მორგანის შეხვედრის მეხუთე სეტში. მორგანს, გარდა იმისა, რომ „მშრალად“ იგებდა — 5:0, ორი მატჩბოლიც ქონდა. მაგრამ რაღაც სასწაულით და ცხადია, მეტოქის ხელშეწყობითაც, მაზურმა მოახერხა პრაქტიკულად წაგებული სიტუაციიდან თავის დაღწევა. რისთვისაც სოლიდურ თანხასთან ერთად მეოთხედფინალში თამაშის უფლებაც მიიღო.

პიტ სამპრასისა და მაიკლ ჩანგის მეოთხედფინალურ ორთაბრძოლას იქნებ საჩემპიონო ფასიც ჰქონდა, ვინაიდან მათზე მაღალ რეიტინგიანი კორტებზე აღარავინ დარჩა. სპეციალისტების აზრით, სწორედ ამ შეხვედრაში გამარჯვებული გახდება ჩემპიონი. პირველი ორი ხელი მეტოქეებმა ტაებრეიკზე მოიგეს, შემდეგ კი აშკარა გახდა სამპრასის უპირატესობა, რომელმაც ზედიზედ 11 გეიმი მოიგო. ამან გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი მის სასარგებლოდ.

ნახევარფინალში სამპრასის მეტოქე უნდა დაესახელებინა ორი ცაციის, კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვისა და ავსტრიელი თომას მუსტერი შეხვედრას. ერთიცა და მეორეც წელს საკმაოდ წარმატებით თამაშობს და კლასიფიკაციაშიც თანაბრად მაღალ ადგილებზე იმყოფებიან — ავსტრიელი მეთორმეტეა, ვოლკოვი ორი საფეხურით დაბლა დგას. ამიტომ მატჩი, რომელიც ღამის ღამის ორ საათამდე გაგრძელდა, თანაბარიც იყო და დაძაბულიც. ბოლო, მეხუთე ხელში მუსტერს ორი მატჩბოლი ქონდა, მაგრამ 26 წლის კალინინგრადელმა ორივე გადააჩინა, რის შემდეგაც ზედიზედ სამი გეიმის მოგებით პირველად მოიპოვა „დიდი სლემის“ ტურნირების ნახევარფინალში თამაშის უფლება — 7:6, 6:3, 3:6, 2:6, 7:5.

მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ მედვედევ — პიოლინსა და მაზურ — ლარსონს შორის გამარჯვებულები.

გია ახალაძე

ალექსანდრე ვოლკოვი



ჰელენა სუკოვა

მეოთხე წრე — მერვედფინალი

ქალები. შტეფი გრაფი (გერმანია) — მერი პირსი (საფრანგეთი) 6:1, 6:0; არანტა სანჩესი (ესპანეთი) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:4, 6:3; ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) — მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 7:5, 6:4; მანუელა მალეევა-ფრანიე (შვეიცარია) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 1:6, 6:0, 6:2; კატერინა მალეევა (ბულგარეთი) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:2, 6:3; გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — ლინდსი დავენპორტი (აშშ) 6:7, 6:4, 6:4; ნატალია ზვერევა (ბელარუსი) — მარია ხოსე გაიდანო (არგენტინა) 6:0, 6:2, კიმიკო დატე (იაპონია) — იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 6:4, 6:4.

კაცები. პიტ სამპრასი (აშშ) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:4, 6:4, 7:6; მაიკლ ჩანგი (აშშ) — უეინ ფერეირა (სარ) 6:4, 6:3, 6:4; ტომას მუსტერი (ავსტრია) — ბრედ გილბერტი (აშშ) 6:2, 7:5, 6:7, 6:2; ალექსანდრე ვოლკოვი (რუსეთი) — ჩაკ ადამსი (აშშ) 6:2, 7:6, 6:1; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — რიხარდ კრაიჩეკი (პოლანდია) 6:4, 3:6, 6:1, 7:6; სუდრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ჯიმ კურიე (აშშ) 7:5, 6:7, 6:4, 6:4; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ბორის ბეკერი (გერმანია) 6:2, 6:3, 3:6, 7:5, უელი მაზური (ავსტრალია) — ჯეიმ მორგანი (ავსტრალია) 3:6, 4:6, 6:3, 6:4, 7:5.

მეოთხედფინალი

გრაფი — საბატინი 6:2, 5:7, 6:1; სანჩესი — ზვერევა 3:0, უარი განაცხადა. სუკოვა — მალეევა 6:4, 6:7, 6:3; მალეევა-ფრანიე — დატე 7:5, 7:5; სამპრასი — ჩანგი 6:7, 7:6, 6:1, 6:1; ვოლკოვი — მუსტერი 7:6, 6:3, 3:6, 2:6, 7:5.

ტოტოლოტო

საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 26 15 სექტემბერი

			პროგნოზი
	ჩემპიონთა თასი. მეთექვსმეტედფინალი		
1	„დინამო“ თბილისი — „კოპენჰაგენი“ დანია	7 2 1	1
2	„დინამო“ კიევი — „ბარსელონა“ ესპანეთი	3 3 4	1 X 2
3	„არაუ“ შვეიცარია — „მილანი“ იტალია	2 4 4	X 2
	უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი		
4	„დინამო“ მოსკოვი — „აინტრახტი“ ფრანკფურტი	3 4 4	1 X 2
5	„ტვენტე“ ენსხედე — „ბაიერნი“ მიუნხენი	4 3 3	1 X 2
6	„ნანტი“ საფრანგეთი — „ვალენსია“ ესპანეთი	5 3 2	1
7	„კარლსრუე“ გერმანია — „ეინდჰოვენი“ ჰოლანდია	5 2 3	1
8	„დანდი იუნაიტედი“ შოტლანდია — „ბრონდბიუ“ დანია	3 5 2	X
9	„ტენერიფე“ ესპანეთი — „მონაკო“	4 4 2	1 X
10	„რაპიდი“ რუმინეთი — „ინტერი“ მილანი	2 4 4	X 2
11	„ჰართსი“ შოტლანდია — „ატლეტიკო“ მადრიდი	4 3 3	1 X 2

26-ე ტირაჟში ჩაბარების ვადა გაგრძელებულია 14 სექტემბრამდე.

დღეისთვის შემოსული ბილეთების რაოდენობა: 5016

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ქუთაისში — აღმაშენებლის ქ. № 1, სპორტლოტოს სამმართველოში, ყოველი კვირის ხუთშაბათი. 12 საათამდე. რუსთავში — ყოველი კვირის ოთხშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალურ ფოსტაში.

25-ე ტირაჟში ჯეკ-პოტი აღინიშნა

შუქურა — ბათუმი 2:1 და... 143 090 კუპონი

ტოტოლოტოს ორი მოთამაშე (სამწუხაროდ, ჯერ მათი გვარები არ ვიცით), თბილისელი და ქუთაისელი, განსაკუთრებული მღელვარებით ელოდა „შუქურასა“ და „ბათუმის“ გადადებული თამაშის შედეგს. რომელიც №23 ტირაჟში იყო შეტანილი. თბილისელმა ამ მატჩის სამივე მოსალოდნელი შედეგი ჩაკეტა — გაითვალისწინა მოგებაც, ფრეც, წაგებაც და, რომ იტყვიან, ფული უკვე ჯიბეში ედო. მაგრამ თუ შეხვედრას ბათუმელები მოიგებდნენ, მაშინ იგი საპრიზო ფონდის ნახევარს ძმურად უნაწილებდა თავის ქუთაისელ კოლეგას, რომელსაც ამ წყვილთან მხოლოდ ორიანი ეწერა. ერთის სავალალოდ, მეორის სასიხარულოდ, თამაში „შუქურამ“ მოიგო და 143 090 კუპონიც მთლიანად თბილისელს დარჩა.

ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61.

შედეგთა დაფა

მძლეოსნობა

ივო ვან დამის მემორიალი — „ოქროს ოთხი შეჯიბრების“ ბოლო ეტაპი. ბრიუსელი (ბელგია); პარასკევი, 3 IX.
ხუთმა ათლეტმა — მაიკლ ჯონსონმა (აშშ, 400 მ), ნურადინ მორსელიმ (ალჟირი, 1500 მ), მარია მუტოლამ (მოზამბიკი, 800 მ), სონია ოსალივანმა (ირლანდია, 3000 მ) და ტრინე პატესტადმა (ნორვეგია, შუბის ტყორცნა) ეს ეტაპიც მოიგო და გაინანილა ოთხივე ეტაპის მოგებისათვის ჯილდოდ დანესებული ოცი თითოკილოგრამიანი ოქროს ზოდი. თითოეულის წილი 52 ათას დოლარად შეფასდა. მეექვსე კანდიდატი — მერლინ ოტი (იამაიკა, 100 მ) ტრავმის გამო გამოაკლდა შეჯიბრებას.

საერთაშორისო შეჯიბრება. რიეტი, იტალია. კვირა, 5 IX.
გამარჯვებულები: ვაჟები: 100 მ: ჯ. დრამონდი (აშშ) 10,03; 200 მ: ფ. ფრუდერიქსი (ნამიბია) 19,96; 400 მ: ს. კიტური (კენია) 44,59; 800 მ: ნ. კიპროტიჩი (კენია) 1.43,54; 1500 მ: ი.—ბ. პეროლდი (გერმანია) 3.34,42; 1 მილი (1609 მ): ნ.მორსელი (ალჟირი) 3.44,39 (მსოფლიო რეკორდი); 5 000 მ: მ. ჩეზირე (კენია) 13.19,28; 400 მ თარჯრბენი: ს. მატეტე (ზამბია) 48,15; ჭოკები: ს.ბუბკა (უკრაინა) 5,80; ბირთვი: მ.შტოლცი (აშშ) 20,90. ქალები. 100 მ: ი. პრივალოვა (რუსეთი) 10,81 (ევროპის რეკორდის ტოლი); 200 მ: პრივალოვა 21,88; 1500 მ: ს. ოსალივანი (ირლანდია) 4.01,72; 400 მ თარჯრბენი: კ. ბეტენი (აშშ) 54,40; სიმაღლეზე ხტომა: ე. ტოპჩინა 1,99 (ასევითვე შედეგით ს.კოსტადინოვა (ბულგარეთი) მეორე ადგილზე დარჩა); სიგრძეზე: ჰ. დრეხსლერი (გერმანია) 7,00
სრულიად ჩინეთის სპორტული თამაშები. პეკინი, მუშათა სტადიონი. ოთხშაბათი, 8 IX
ქალები. 10 000 მ: ვან ცზუნსია (მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი, 20 წლისა, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი მაღალმთიანეთიდან) 29.31,78 (მსოფლიოს რეკორდი). ძველი მიღწევა (ი. კრისტიანსენი (ნორვეგია, 1986)) გაუმჯობესდა ერთშაშად 41,96 წამით. ცზუნსია პირველი ქალია, ვინც ნახევარ საათში „ჩაეტია“.

რაგბი

„რანფერლის ფარი“ (ახალი ზელანდიის პროვინციათა შორის უძლიერესისათვის დანესებული გარდამავალი ჯილდო). 1 IX. ოამარუ. ჩრდილოეთი ოტაგო (III ჯგუფი) 5 (5) (ლ) ოკლენდი (I ჯგუფი) 139 (58) (23 ლ, 12 გ). ჯონ კერვინმა (14) 9 ლელო გაიტანა.

ახალი ზელანდიის პროვინციათა ჩემპიონატი. შაბათი, 4 IX. I ჯგუფი: კენტერბერი 6 ოკლენდი 39 („რანფერლის ფარის“ თამაში), ჩრდილოეთი ნავსაყუდელი 18 ვაიკატოს(ჩემპიონი) 14, ველინგტონი 20 ოტაგო 20. 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ოკლენდი (17 ქულით) და ველინგტონი (15)

„ქარრის თასი“ (სამხრეთი აფრიკის ბობოლა პროვინციათა ჩემპიონატი). შაბათი, 4 IX. ნარინჯი 23 ტრანსვაალი 28; აღმოსავლეთი კონცხი 12 ჩრდილოეთი ტრანსვაალი 18. ლიდერობენ: ნატალი და ტრანსვაალი (12 ქულა 7 თამაშიდან), აღმოსავლეთი კონცხი (8 8-დან), ჩრდილოეთი ტრანსვაალი (6 7-დან).

სარგებელი

ტოტალიზატორი

"CROCO"

თამაშის წესები:
თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.
ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.
არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.
ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.
ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.
ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე, ერთი კვირის განმავლობაში.
ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეზუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე. სასტუმრო „აჭარაში“ ფსონების მიღება დროებით შეჩერებულია.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

			1	X	2
11 სექტემბერი	ლივერპული — ბლეკბერნი		1,4	2,2	5,0
	ჩელსი — მანჩესტერ იუნიტედი		2,2	2,2	2,2
12 სექტემბერი	ვალენსია — ატლეტიკო		1,8	2,1	3,0
	სპორტინგი — დეპორტივო		2,0	1,9	3,0
	კალიარი — ინტერი		2,6	1,9	2,2
	კრემონეზე — ლაციო		2,6	1,9	2,2
	ფოჯა — იუვენტუსი		2,6	1,9	2,2
	მილანი — ატალანტა	0:1	1,9	2,0	3,0
	პარმა — ჯენოა		1,4	2,2	5,0
	რომა — ნაპოლი		1,4	2,2	5,0
	ურუგვაი — ბოლივია		1,4	2,2	5,0
15 სექტემბერი	დინამო კიევი — ბარსელონა		6,2	2,6	1,2
	პონველი — მანჩესტერ იუნიტედი		5,0	2,5	1,3
	ტვენტე — ბაიერნი		2,3	2,0	2,3
	ნორვიჩ სიტი — ვიტესი		1,3	2,5	5,0
	ჰართსი — ატლეტიკო მადრიდი		2,1	2,1	2,5
	ნორჩოპინგი — მეზელენი		2,1	2,1	2,5
	კარლსრუე — ეინდჰოვენი		1,3	2,5	5,0
	დინამო მოსკოვი — აინტრახტი		3,7	1,9	1,7
	დანდი იუნიტედი — ბრონდბიუ		1,8	2,1	3,0
	დინამო ბუქარესტი — კალიარი		2,3	2,0	2,3
	დორტმუნდი—ვლადიკავკაზი	0:2	2,2	2,2	2,2
	დინამო თბილისი — კოპენჰაგენი		1,8	2,1	3,0

შენიშვნა: ევროტურნირების თამაშებზე (თბილისის დინამოს თამაშების გარდა) ფსონების მიღება შეწყდება სამშაბათს 16 საათზე.

წინა ტურის შედეგები:

8 სექტემბერი: შოტლანდია — შვეიცარია 1:1, ინგლისი — პოლონეთი 3:0, უელსი — ჩეხოსლოვაკეთი 2:2, უნგრეთი — რუსეთი 1:3, ბულგარეთი — შვედეთი 1:1, ფინეთი — საფრანგეთი 0:2.

საჯილდაო

მესამე წრის პასუხები

(1) რამდენჯერ უსპარეზია ალ. მეტრეველს უიმბლდონის ფინალებში? როდის? რისთვის მიუღწევია?
ორჯერ; 1968 წელს მოროზოვასთან ერთად წააგო წყვილთა ფინალი, 1973 წელს კი ვაჟთა ფინალში დამარცხდა
(2) ვინ და როდის გახდა ვაჟთა საჭადრაკო „ოსკარის“ პირველი მფლობელი? სადაური იყო ლაურეატი?
დანიელი ბენტ ლარსენი; 1967 წელს
(3) რისი მსოფლიო რეკორდსმენი იყო დიმიტრი იოსელიანი? რომელ ეპოქაში?
ადგილიდან სიგრძეზე ხტომისა და სამხტომისა; მეორე მსოფლიო ომამდე
(4) როდის გაიხსნა „რაზდანის“ სტადიონი? ვის ეთამაშა „არარატი“? შეხვედრა როგორ დამთავრდა?
1971 წლის მაისში; „არარატმა“ „ქაირაოს“ 3:0 მოუგო
(5) ნბლ-ის რომელ კლუბებში უთამაშია უეინ გრეცკის? რა ნომრით?
„ედმონტონ ოილერზში“ და „ლოს-ანჯელეს კინგზში“; 99 ნომრით
(6) სამოყვარულო კალათბურთში როდიდან შემოიღეს სამქულიანი ტყორცნა? რა მანძილიდან ნასროლი ბურთი ითვლება ამდენად?
ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის შემდეგ, 1984 წლის შემოდგომიდან; არანაკლებ ექვსი მეტრიდან
(7) ვინაა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი? სადაურია? რა შეჯიბრება წამოიწყო?
მექსიკელმა რუბენ აკოსტამ მსოფლიო ლიგის გათამაშება წამოიწყო
(8) პარიზ-დაკარის ავტორალის მარშრუტი ერთი-ორად როდის დაგრძელეს? სადამდე? რისთვის?
1992 წელს; კეიპტაუნამდე; სამხრეთი აფრიკის შემორიგების აღსანიშნად
(9) ნაკრებთა თამაშებში რომელი ქვეყნის რომელ მორაგბეს გაუტანია ყველაზე მეტი ლელო? რამდენი?
ავსტრალიელმა დევიდ კემპიზმ 54 ლელო გაიტანა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ლომბარდი»

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი MIB Commercial Bank
მინაგობანკი MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა“
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი“



საბოლოოდ ლაშქრობის გვირგვინი

დედამიწის უმაღლეს მწვერვალებზე ანაპურნაზე (8091), ჯომოლუნგმასა (8848) და ნანგა პარბატზე (8125) პირველი ასვლა, სახელგანთქმული ჰიმალაიის მკვლევარის, მთამსვლელის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის, გერმანელი გიუნტერ ოსკარ დირენფურტის სიტყვებით, ისეთივე მნიშვნელობისა იყო, როგორიც ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების დაპყრობა.

ანაპურნაზე პირველად 1950 წელს ავიდნენ, სამი წლის მერე კი ჯომოლუნგმა და ნანგა პარბატიც დანებდა ადამიანებს. მას შემდეგ ორმოცი წელი გასულა. ამ ორმოცი წლის გამანვლობაში ჯომოლუნგმაცა და ნანგა პარბატიც მრავალმა მთამსვლელმა დალაშქრა, მაგრამ მათზე პირველსვლა მაინც სულ სხვა იყო. ის პირველასვლები ხომ სამოცწლიანი ლაშქრობის ჭეშმარიტად გმირული ეპოპეის დაგვირგვინება გახლდათ.

დღეს არავინ იცის, პირველად ვის მოუვიდა აზრად, ასულიყო ჯომოლუნგმაზე (იგივე ევერესტი, საგარმატხა). ცნობილია, . ინგლისელი ჩარლზ ბრიუსი ჯერ კიდევ 1893 წელს სერიოზულად გეგმავდა ჯომოლუნგმაზე ასვლას, ხოლო 1907 წელს ექსპედიციასაც ამზადებდა. სამწუხაროდ, ის ექსპედიცია, ინგლისელთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩაიშალა.

თუ ჯომოლუნგმაზე ასვლების ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ პრიორიტეტი ინგლისელებს ეკუთვნით. მათ მიერ ამ მწვერვალზე ასვლების ცდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 1922 და 1924 წლებში მოწყობილი ექსპედიციებია. სწორედ მათი ექსპედიციის წევრები მელორი, ნორტონი, და სომერვილი იყვნენ პირველნი, რომლებმაც 1922 წელს სულიერთაგან პირველებმა გადაბიჯეს მაგიურ 8000-მეტრიან სიმაღლეს და 8170 მეტრის „ნიშნულამდე" ავიდნენ, თანაც ჟანგბადის ბალონების გარეშე.

მომდევნო დღეებში ამავე ექსპედიციის წევრებმა ბრიუსმა და ფინჩმა 8326 მეტრამდე ააღწიეს. ინგლისელებმა კვლავ სცადეს ასვლა, მაგრამ ზავი მოსწყდა და შვიდი შერპი დაიღუპა. ეს ჯომოლუნგმას პირველი მსხვერპლი იყო.

1924 წელს მელორისა და ირვინს უკანასკნელად 8600 მეტრის ფარგლებში ოპკრეს თვალი, მერე კი უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. უცხოელ მთამსვლელთაგან ისინი ჯომოლუნგმას პირველი მსხვერპლნი გახდნენ.

ახლა ზოგი ცნობილი მთამსვლელი ფიქრობს, რომ მელორიმ და ირვინმა მწვერვალსაც მიაღწიეს, მაგრამ დაშვებისას დაილუპნენ.

ასე იყო თუ ისე, ინგლისელთა 1924 წლის ექსპედიციის მიღწევამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. შამონის ოლიმპიურ თამაშებზე გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ინგლისელთა ექსპედიციის მეთაური, გენერალი ბრიუსი ოლიმპიური მედლით დაეჯილდოვებინათ.

1953 წლამდე ჯომოლუნგმაზე ასვლა კიდევ შვიდჯერ სცადეს ინგლისელებმა, მაგრამ ამაოდ. დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე შვეიცარიელებმაც მიიტანეს იერიში (1952 წელს — ორჯერ), მაგრამ ისინიც განბილდნენ.

და აი, 1953 წელს ინგლისელთა მეთერთმეტე ექსპედიციის წევრებმა, ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და ინდოეთის მოქალაქე შერპმა თენსინგ ნორგეიმ 9 მაისს მიზანს მიაღწიეს.

„დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა დაპყრობილია!" ეს ცნობა ნეპალიდან, აღმოსავლეთ ჰიმალაიზე მდებარე გიგანტიდან მთელს მსოფლიოში ელვის უსწრაფესად გავრცელდა. მაგრამ პაკისტანში აღმართულ კიდევ ერთ ბუმბერაზი მწვერვალის, ნანგა პარბატის ფერდობებზე ცოტა მოგვიანებით ააღწია, სადაც გერმანიისა და ავსტრიის გაერთიანებული ექსპედიციის წევრები მის დასალაშქრად ემზადებოდნენ.

ინგლისელთა წარმატებამ ცეცხლი შეუნთო წინა ექსპედიციების წარუმატებლობით ისედაც გამწარებულ გერმანელ და ავსტრიელ მთამსვლელებს. ან ახლა, ან არასოდესო, ამბობდნენ ისინი. მათ არ აშინებდათ, რომ გერმანელთა წინა ექსპედიციებიდან ამ მწვერვალის ფერდობებზე 32 მთამსვლელმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ეს მეტი მსხვერპლი იყო, ვიდრე მსოფლიოს დანარჩენ ცამეტ „რვაათასიანზე" ერთად აღებული. ამიტომ ნანგა პარბატს სიკვდილის მთა შეარქვეს.

გერმანელებსა და ავსტრიელებს არც ის აფიქრებდათ, რომ იმ წელიწადს არნახული თოვლი მოვიდა და მრისხანე ნანგა პარბატი უფრო მოქუფრული იყო. ამის გამო ასვლის საქმე მეტად ჭიანურდებოდა და ექსპედიცია მძიმედ მიინევდა. მერე მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. როცა გადამწვეტი იერიშის დრო დადგა და ოთხი მთამსვლელი მესამე ბანაკში იყო, მათ რადიოკავშირით მოულოდნელი ბრძანება მიიღეს — ასვლა შეწყვიტეთ და ყველანი საბაზო ბანაკში დაბრუნდითო. მაგრამ ოთხეული ბრძანებას არ დაემორჩილა. გადაწყდა, მწვერვალისთვის პირველებს ბულსა და კემპტერს შეეტიათ. მერე მოულოდნელად კემპტერმაც ფეხი აითრია და ახალგაზრდა ჰერმან ბული მარტოდმარტო გაუდგა „გზას". იგი მარტო დარჩა, როცა მწვერვალამდე საკმაოდ დიდი მანძილი — სიმაღლეში 1225 მეტრი, ხოლო სიგრძეში 6 კილომეტრზე მეტი აშორებდა.

ბული ჟანგბადის აპარატის, კარვის, საძილე ტომრის ამარა და თითქმის სკკვების გარეშე მიდიოდა. გადამწყვეტი იერიშისას ღამის 2. საათზე გასულმა საღამოს 7 საათზე მიაღწია მწვერვალს.

ეს მოხდა 1953 წლის 3 ივლისს.

გამარჯვებული ბული სულ ახლოს იყო სიკვდილთან, მაგრამ სასწაულად ფეხის რამდენიმე მოკვეთილი თითის ფასად გადარჩა.

ჯომოლუნგმაზე და ნანგა პარბატზე გამარჯვებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ასვლებს ერთმანეთს ადარებდნენ, მაგრამ მათი შედარება შეუძლებელია. ჯომოლუნგმას დამპყრობთ ზარზეიმით შეხვდნენ ნეპალში, ინდოეთში, ინგლისში... თენსინგს ნეპალის მეფემ „ნეპალ ტარასი"" (ნეპალის ვარსკვლავი) — ქვეყნის უმაღლესი ჯილდო გადასცა, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა კი ეროვნულ გმირად გამოაცხადა. ჰილარისა და ექსპედიციის მეთაურ ჯონ ჰანტს ინგლისის დედოფალმა ქვეყნის თავადაზნაურთა უმაღლესი მემკვიდრეობითი ტიტული — ლორდობა უბოძა; თენსინგს ამერიკის ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების მედალიც გადასცეს... ნანგა პარბატის ექსპედიცია კი კონფლიქტით დასრულდა. საქმე სასამართლომდე მივიდა. კონფლიქტი ოდნავ ჩააცხრო ვენის ბურგომისტრმა. ჰერმან ბულის ბრწყინვალე გამარჯვება კი, რომელიც ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მხოლოდ იმით დააფასეს, რომ ბურგომისტრმა მას ბინა უბოძა. მანამდე ბული და მისი ცოლი მეგობრებთან იყვნენ შეკედლებულნი...

ავთანდილ გურასაშვილი

რაგბი აზიასა და, ვინძლო, ჩინეთშიც

სათაურის წამკითხველი უთუოდ შეიცხადებს: „სად ტანმორჩილი და ბეჩავი აზიელები და სად ძალისმიერი რაგბიო?“ და ნანილობრივ მართალიც იქნება.

ჭეშმარიტად, აზიელებს უჭირთ თანამედროვე ზეაგრესიული რაგბის თამაში, რაკიღა ზომა-ნონა აკლიათ. უჭირთ შერკინებაში, უჭირთ დერეფანში, ვინაიდან სიდაბლის გამო ბურთს ვერ იგებენ და მერე ერთთავად თავდაცვა უნეევთ, რასაც, უნდა ითქვას, თავდადების წყალობით კარგადაც ახერხებენ, მაგრამ საბოლოოდ ძალა მაინც აღმართსა ხნავს ხოლმე.

აზიელები — იაპონელები ევროპას პირველად 1973 წელს ეწვივნენ და ტექნიკით, სიმარდით, წესრიგითა და ფანატიზმით მოხიბლეს იქაური საზოგადოებრიობა. იაპონია მონაწილეობდა მსოფლიო თასის ორივე გათამაშებაში და ორივეჯერ იგივე ღირსებები და ნაკლი წარმოაჩინა.

აზიაში რაგბს აზიის რაგბის კავშირი განაგებს. იგი აერთიანებს იაპონიას, კორეას, ჰონკონგს, ტაივანს, თაილანდს, შრი-ლანკას, მალაიზიასა და სინგაპურს. მარტო ამ ჩამონათვალის გაცნობა ცხადყოფს, რომ რაგბი ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში ვითარდება, პროკომუნისტურ საზოგადოებაში კი ვერ ხარობს.

ამის მეტყველი მაგალითიც არსებობს. ამ ოცი წლის წინ რაგბი ლაოსშიც დაინერგა, მაგრამ მერე ძალაუფლება კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში და ისეთი ტერორი გააჩაღეს, რომ აღარავის ერაგბებოდა.

ბოლო წლებში ყინული გალღვა. პირდაპირ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ შარშან აზიის რაგბის კავშირში შესვლა კიმირსენისეულმა ჩრდილოეთმა კორეამაც მოისურვა. მანამდე ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ გადარეულ ქვეყანაში რაგბსაც თამაშობენ.

დემოკრატიულ კორეას არ ჩამორჩა ჩინეთიც. იქ პირველი გუნდი 1990 წელსღა შექმნილა პეკინის აგრარულ უნივერსიტეტში, დღესდღეობით კი მილიარდიან ქვეყანაში 19 კლუბი ყოფილა.

ჩინელი რაგბის ხელისუფლები ახლა იმის ცდაში ყოფილან, მთავრობას რაგბი ოფიციალურად რომ აღიარებინონ. თუ ეს საქმე ოქტომბერში მოხერხდება, მაშინ ჩინური სპორტის მთელი პოტენციალი ჩაებმება რაგბის განვითარებაში, ეს კი შედეგს უეჭველად გამოიღებს — ჩინური სპორტის ბოლოდროინდელი ყოვლისმომცველი წარმატება სარწმუნო საბუთია.

მორაგბეები იმასაც ცდილობენ, რაგბი ჯარში — სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში რომ დანერგონ. სამხედროებს თურმე ერთობ მოსწონებიათ ახალი თამაში — ჯარისკაცების საწრთობად მშვენიერი საშუალებაა.

ჩინეთის რაგბით დაინტერესება ახარებთ ჰონკონგშიც, რომელიც 1997 წელს დედა-ჩინეთს უნდა შეუერთდეს. არადა, ჰონკონგის სარაგბო თემს, რომლის უმრავლესობასაც ბრიტანელები შეადგენენ, რაგბი დასალუპად განნირული ეგონა — ოთხ წელიწადში გალიბერალებული კომუნისტები მოგვაშთობენ და სამაგალითო „ჰონკონგის შვიდკაცასაც“ აგვიკრძალავენო.

ამასობაში, დიდ ჩინეთში 35 ცნობილი ფრანგი მოთამაშე და ნაკრების მწვრთნელყოფილი ჟაკ ფურუ მიიწვიეს საჩვენებელი თამაშების გასამართად. ფრანგებმა პეკინის მუშათა სტადიონზე გამართეს სარაგბო შოუ და მასპინძლებს ურჩიეს, „ზორბა და ბრგე ვაჟკაცები სპორტის სხვა სახეობებიდან გადმოიბირეთ, თორემ უმაგათოდ საერთაშორისო სარბიელზე ვერას გახდებითო“.

ჩინეთი ორ წელიწადში აპირებს აზიის რაგბის კავშირში შესვლას და აზიის ჩემპიონატში ჩაბმას. ეს შეჯიბრება 1969 წლიდან წელიწადგამოშვებით იმართება. ამჟამინდელი ჩემპიონი იაპონიაა, რომელმაც 13 ტურნირიდან 9 მოიგო. ოთხჯერ სამხრეთი კორეა იყო ჩემპიონი, მალაიზია და სინგაპური კი მუდმივი მაჩანჩალები არიან და ხშირად ასასი ქულითაც აგებენ თამაშებს.

კოტე ჩოგოვაძე

ალარ დასცალდათ

კრიკეტის სამყარომ შრი-ლანკა მას შემდეგღა აღიარა სრულუფლებიან წევრად, რაც რასიზმის გამო სამხრეთ აფრიკა მოიკვეთა. ამიტომ ამ ორი ქვეყნის გუნდები წლევანდლამდე ერთმანეთს არასოდეს სწვეოდნენ.

აგვისტოში გამოსწორებული რასისტები ტერორიზმითა და ეთნოკონფლიქტებით ცნობილ კუნძულზე ჩავიდნენ. მასპინძლები სტუმრებს გულითადად დაუხვდნენ, მით უფრო, რომ სამი ტესტ-მატჩით ტკბობა ელით. ცოდვა გამხელილი სჯობს და პინდუსტანელებს ძალიან უყვართ კრიკეტი — უდაოდ ერთობ ორიგინალური თამაში, რომელსაც ბრიტანეთის ექს-სამფლობელოებს გარეთ არ სწყალობენ.

პირველი ტესტი კუნძულის სამხრეთ ნაწილში, სანაპირო ქალაქ მოროტუაში გაიმართა 25-30 აგვისტოს, ლანკელი მოკრიკეტეების ამჟამინდელი თაკვაცის, ცოცხალი და საღსალამათი ტაირონ ფერნანდოს სახელობის სტადიონზე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მოროტუას ასპარეზს წყლის საწრეტი სისტემა ცუდი აქვს, რის გამოც ხშირი წვიმები მოლსა და ზოლს ერთობ ალბობს, ამის გამო კი მომწოდებლები ერთთავად ბზრიალით ტყორცნიან ბურთს, ტაფელონსებიც ფრთხილობენ და თვით ზუთდღიანი მატჩებიც კი ხშირად უშედეგოდ მთავრდება.

ახლაც ასე მოხდა. ოთხშაბათს მასპინძელთა კაპიტანმა არჯუნო რანატუნგამ წილისყრა მოუგო კაპლ ვესსელს და ირაციონალური გადაწყვეტილებაც მიიღო — ჯერ თავისი გუნდი გაგზავნა ზოლზე ბჭეების დასაცავად.

ლანკელთა პირველი შესვლა დღეანგვარი გაგრძელდა. 65 გარბენის შემდეგ სტუმრებმა გურასინგა გაგდეს, 156-ზე — ჰედერუსინგა. პირველი დღის შემდეგ შრი-ლანკას მონაგარი 241 გარბენი იყო 5 გაგდებული ტაფელონსის სასაცვლოდ.

ზუთშაბათს ლანკელთა კიდევ ზუთმა ტაფელონსმა ანგარიში 331-მდე აიყვანა, მერე კი სტუმართა პირველი შესვლა დაიწყო და მალეც გაწვიმდა. თამაში რომ შეწყდა, სამხრეთ აფრიკას 81 გარბენი უდანაკარგოდ მოეგროვებინა.

პარასკევი დასვენების დღე იყო, შაბათს კი ლანკელებმა ჯიქურ შეუტიეს სტუმრებს. მომწოდებელმა მუთარ მურლიტრანმა ზუთი (!) მეტოქე გაგდო ისე, რომ ამათ მუთარის ნატყორცნი ბურთების მოგერიებით ოდენ 104 გარბენი მოაგროვეს. ისე კი, თავიდან სტუმრები მაგრად დაუდგნენ ლანკელებს და ერთი პირობა სამი გაგდებულის სანაცვლოდ 203 გარბენიც ჰქონდათ, მაგრამ მერე უცბათ გატყდნენ. გაგანია თამაშში ახალი ბურთი მოიტანეს და ლანკელებმა 11 მოწოდებით სამი მეტოქე გაისტუმრეს, თანაც მათ 3 გარბენზე მეტი არ გააკეთებინეს.

ერთი სიტყვით, მასპინძლებმა სამხრეთ აფრიკას ათივე ტაფელონსი გაუგდეს 267 გარბენის სანაცვლოდ და პირველი შესვლის შემდეგ 331 — 267 = 64 გარბენით დაწინაურდნენ.

შაბათსვე დაიწყო ლანკელთა მეორე შესვლა, მაგრამ დღის ბოლომდე სტუმრებმა ორი ლანკელი გაგდეს 26 გარბენის სანაცვლოდ, რაც მასპინძლებისთვის ერთობ არასახარბიელო პერსპექტივას სახავდა; მაგრამ კვირას, მატჩის ბოლოსწინა დღეს, ლანკელებმა აიწყვიტეს: კაპიტანმა რანოტუნგამ ტესტებში მეოთხედ მოაგროვა ასეული, არავინდა და-სილვამ კი, ვიდრე მის მოგერიებულ ბურთს ჰაერში დაიჭერდნენ, 61 გარბენი მიითვალა. ლანკელებს ოდენ ექვსი ტაფელონსი ჰყავდათ გაგდებული, სამაგიეროდ კი 300 გარბენი ჰქონდათ მოგროვილი. რანოტუნგამ მონაგარი სამოცზე მეტად მიიჩნია და რაკიღა ბინდდებოდა, ლანკელთა მეორე შესვლა ვადამდე დასრულებულად გამოაცხადა.

ამის შემდეგ სტუმრებს თამაშის მოსაგებად (331 + 300) — 267 + 1 = 365 გარბენი სჭირდებოდათ, მაგრამ მოროტუას კალაბზე ამდენს რომ ვერ მოიმკიდნენ, თავადაც კარგად უწყოდნენ. ამიტომ მატჩის ბოლო დღეს, ოთხშაბათს, ზოლზე მეორედ შესვლისას სტუმრებმა ყრუ დაცვა აირჩიეს: ჯონთი როუდსმა ასეული კი მოაგროვა, მაგრამ ჯიმი კუკმა ერთობ გაუჯანჯლა საქმე და 24 გარბენს მთელი ორი საათი (!) მოანდომა. ლანკელები ხან აქეთ ეცნენ, ხან იქით; მსაჯებსაც გული გაუწყალეს, მაგრამ დღე ისე გაიღია, რომ სამხრეთ აფრიკას 252 გარბენი მოუგროვდა 7 გაგდებული ტაფელონსის სანაცვლოდ. ამ შედეგმა ვერც თამაშის მოსაგებად იკმარა და ვერც ლანკელებს გაამარჯვებინა — მათ ხომ აღარ დასცალდათ კიდევ სამი ტაფელონსის გაგდება.

ერთი სიტყვით, როგორც სხვა დროსაც ხშირად მომხდარა, კრიკეტის ზუთდღიანი მატჩი ახლაც უშედეგოდ დასრულდა, რის შემდეგაც ქართველი მკითხველი, უეჭველია, ალმაცერად შეხედავს ამ დიდებულ თამაშს.

ვალერი ჯიძია

XIII რბოლა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

12 სექტემბერი, იტალიის „გრან-პრი“. „მონცას“ ავტოდრომი. ნრის სიგრძე 5800 მ. 53 ნრე (307,4 კმ)

1992	აირტონ სენა	„მაკლარენი“
	საშუალო სიჩქარე 235,689 კმ/სთ	
1991	ნაიჯელ მენსელი	„უილიამსი“
1990	აირტონ სენა	„მაკლარენი“
1989	ალენ პროსტი	„მაკლარენი“
1988	გერჰარდ ბერგერი	„ფერარი“



მილანის მახლობლად, მონცას „აუტოდრომო ნაციონალე“ ზეგ 64-ედ უმასპინძლებს დედამიწის უსწრაფეს პილოტებს. „ფორმულის“ ტრასებიდან ეს ყველაზე სწრაფია, სადაც უპირატესობა მძლავრი, სწრაფი ბოლიდების მხარესაა. ასე, რომ კვირას კვლავ ალენ პროსტისა და დეიმონ ჰილის „უილიამსები“ იქნება გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები. თუმცა არც აირტონ სენასა და მიხაელ შუმახერის მანქანებია წინასწარ ჩამოსაწერი.

ყოველ რბოლას, როგორც წესი, უამრავი მაყურებელი ესწრება ბილეთებზე, საკმაოდ მაღალი ფასის მიუხედავად: ადგილი ცენტრალურ ტრიბუნაზე დაახლოებით 220 დოლარი ღირს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში „მონცაზე“ ზედიზედ ორჯერ გამარჯვება ვერავინ შეძლო. ასე, რომ „გეგმით“ ზეგ სენას დღე არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მას ეკუთვნის ტრასის რეკორდი — 242,619 კმ-სთ. ეს შედეგი ბრაზილიელმა „ჯადოქარმა“ შარშანდელ რბოლაში აჩვენა.

80-იან წლებში იტალიის „გრან-პრის“ გათამაშებაში ყველაზე დიდ წარმატებას მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ მიაღწია — იგი ოთხჯერ იდგა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე. ტრასის მასპინძლებს კი ბოლო წლებში თავი არაფრით გამოუჩენიათ.

აქეთური, იქითური

პარიზში ბელგიელმა ჟოკეიმ ფილიპ ლეჟენმა, ცხენ „შოგუნის“ შემწეობით „ოსტატთა გრან პრი“ მოიპოვა. მან კლასიკური მარშრუტი საჯარიმო ჭულის გარეშე, ყველაზე სწრაფად, 46,56 წამში გაიარა. არ დაჯარიმებულა კიდევ ორი ცხენოსანი: ირლანდიელი ედი მაკკენი და მისი ცხენი „შალხაარე“ ფინიშზე 47,12 წამში მივიდნენ, ფრანგი როჟე-ივ ბოსტი და „ტრეზორ დუ რენომი“ — 48,12.

*

ცნობილი ამერიკელი მოტომრბოლი, მსოფლიოს ჩემპიონი, უეინ რეინი იტალიის ქალაქ მისანოში გამართული რბოლის დროს სერიოზულად დაშავდა. იგი ვერტმფრენით სასწრაფოდ მიიყვანეს საავადმყოფოში. როგორც ექიმებმა განაცხადეს, მას ხერხემალი აქვს დაზიანებული და თუკი საერთოდ წამოდგება ფეხზე, ეს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მოხდება. რეინი ყველაზე პრესტიჟულ „სამეფო“ კლასში (500 კუბური სმ) გამოდიოდა „იამაჰას“ მოტოციკლით და საბედისწერო 12-ე ეტაპის შემდეგ 214 ქულით მეორე ადგილზეა.

*

ბადმინტონში მსოფლიოს თასის ხუთი ფინალიდან სამი ინდონეზიელებმა მოიგეს. ქალთა ერთეულებში, მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველმა სუსი სუსანტიმ დაამარცხა ჩინური წარმოშობის შვედი ლიმ სიაოკინი — 11:7, 11:5. ვაჟთა წყვილებში რიკი სუბაჯამ და რეკსი მაინაკიმ ჩინელებს ხენ ხუნიუნს და ხენ კენს სძლიეს — 15:9, 12:15, 15:9. ვაჟთა ერთეულების ფინალი კი ინდონეზიელთა „შინაურ საქმედ“ იქცა. ალან ბუდი კუსუმამ მოუგო იოკო სუპრიანტოს 15:8, 17:16.

*

იტალიელი ველომრბოლი ალბერტო ვოლპიმ სამი თვით დისკვალიფიკაციას, მსოფლიოს თასის წლევანდელ ეტაპებზე დაგროვილი ქულების გაუქმებას და 3000 შვეიცარული ფრანკით დაჯარიმებას გამოჰკრა ხელი. საქმე ის არის, რომ იგი ორჯერ გასინჯა დოპინგკონტროლის კომისიამ და ორგანიზმში გონადროტროპინი აღმოუჩინა.

*

აზიაზეთში მიმდინარეობს პრეზიდენტ ნაზარბაევის სახელობის ტურნირი ჩოგბურთში. უძლიერესი ნაზარბაეველები 12 სექტემბერს გამოვლინდებიან. შეჯიბრებაში, რომლის გამარჯვებული ვაჟი 2000, ხოლო ქალი 1000 დოლარს მიიღებს 60 ყოფილი საბჭოელი სპორტსმენი მონაწილეობს.

*

იტალიის ქალაქ რიეტიში, მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ ერთ მილზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ერთი მილი ჩვენებურად 1609 მეტრია. მორსელიმ ეს მანძილი 3 წუთსა და 44.39 წამში გაირბინა და ბრიტანელი სტივ კრემის მიერ 1985 წლის 27 ივლისს დამყარებული რეკორდი, რომელიც 3.46.32-ს უდრიდა, საარქივო მასალად აქცია. რეიტის სტადიონი ალჟირელისთვის იღბლიანია. გასულ წელს, ამავე შეჯიბრებაზე ნურადინმა 1500 მეტრზე რბენაში დაამხო ძლანეტის საუკეთესო მიღწევა. ამ დისტანციაზე მან სულ ახლახანს შტუტგარტში მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

*

იმავე სარბენ ბილიკზე თავი ისახელა ბარსელონის ოლიმპიადის პრიზიორმა რუსმა ირინა პრივალოვამ. 100 მეტრი მან 10.81 წამში გაირბინა და ყოფილი გდრ-ელი მარლიზ გიორის ათი წლის წინ დამყარებული ევროპის რეკორდი გაიმეორა. წლეულს ეს დისტანცია ასე სწრაფად არავის გაურბენია. ახლა 10.81 რუსეთის ახალი რეკორდი გახდა, ისევე როგორც 200 მეტრზე რბენაში 21.88. პრივალოვას ეს შედეგიც წლევანდელ ევროპულ შედეგთა შორის საუკეთესოა.

აქეთური, იქითური

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკევობით

ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ზოშარაულის 29

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: ბია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)